



**ანგარიში და რეკომენდაციები სასამართლოში საქმეთა
ნაკადების მართვასთან დაკავშირებით**

2023 წ.



USAID
აშშ-ის საერთაშორისო
დახმარების სააგენტო

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

**USAID საბარათლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM**

კვლევა მომზადდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ექსპერტების მიერ USAID საბარათლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან კვლევის ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის:

- მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის წევრები - სოფიო სოხაძე, ნინო ანდრიაშვილი, დავით კალოევ-დოღბაძე;
- ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტი - თამთა დევდარიანი, ეკა მამალაძე, ლევან სურამელაშვილი.

სარჩევი

შესავალი.....	1
თავი I. კვლევის მეთოდოლოგია	1
თავი II. მოკლე სიტუაციური ანალიზი.....	3
თავი III. სამართლებრივი რეგულაციების ანალიზი.....	6
საერთაშორისო რეკომენდაციები და გაიდლაინები.....	6
საქართველოს კანონმდებლობა.....	12
თავი IV რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგები.....	20
მონაცემები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა მოძრაობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოებში.....	20
ადვოკატთა რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....	36
ადვოკატთა ფოკუსჯგუფის გამოკითხვის შედეგები.....	42
თავი V. შემაჯამებელი დასკვნა.....	44
თავი VI. რეკომენდაციები	53
დანართები.....	55

შესავალი

მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ადვოკატის პროფესიას განსაკუთრებული როლი და ფუნქცია აქვს სამართლის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებისა და საზოგადოებაში სამართლიანობის იდეის ერთგულების დამკვიდრების თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებების აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის რეფორმების პროცესში, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს მათი ხელვა და მოსაზრებანი.

უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს დგას ქართული მართლმსაჯულება, საქმეთა ნაკადების მართვის არაეფექტური პრაქტიკაა, რაც, ერთი მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლის სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დამკვიდრებას ქვეყანაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის – *იურიდიული პროფესიის გაძლიერება საქართველოში* – ფარგლებში მოამზადა წინამდებარე ანგარიში და რეკომენდაციები, რომლებიც, ხელს შეუწყობს, უპირველეს ყოვლისა, ფართო დისკუსიის დაწყებას მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შორის ანგარიშში გამოკვეთილ საკითხებზე მათი გადაჭრის გზებისა და ეფექტური მექანიზმების შესამუშავებლად.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში ძირითადად შესწავლილია და გაანალიზებული საქმეთა ნაკადის მართვის საკითხები ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის კატეგორიის საქმეებზე.

ანგარიშის მოსამზადებლად მკვლევართა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, სასამართლოებიდან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოეთხოვა საჯარო ინფორმაცია მოსამართლეთა ოდენობის, მათი სპეციალიზაციისა და საქმეთა შესვლის, მათი მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებისა და ოდენობასთან დაკავშირებით; ასევე – ინფორმაცია საქმეთა რაოდენობის შესახებ მათი კატეგორიების მიხედვით და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დაკავშირებული კვლევის საგანთან.¹

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ იქნა გაცემული ჩვენ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, თანაც – ნაწილობრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან კი პასუხი არ მიგვიღია.

¹ იხ. დანართები 1 და 2.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში, შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა როგორც საქმეთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებით საერთაშორისო რეკომენდაციების და გაიდლაინების, ისე საქართველოს კანონმდებლობის შესწავლა.

საერთაშორისო რეკომენდაციებსა და გაიდლაინებს შორის კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შემდეგი:

1. ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სამუშაო ჯგუფ SATURN-ის (Study and Analysis of Timeframes Unit Research Network) მე-4 განახლებული გაიდლაინები სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით³;
2. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(84)5 მართლმსაჯულების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად შექმნილი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების თაობაზე;
3. ევროსაბჭოს რეკომენდაცია NR(86)12 სასამართლოში საქმეთა ნაკადის გადატვირთულობის პრევენციისა და შემცირების ღონისძიებათა თაობაზე;

საქართველოს კანონმდებლობიდან შესწავლილი და გაანალიზებულია:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ;
4. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

თავი II. მოკლე სიტუაციური ანალიზი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანი აღჭურვილია გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი და საჯაროდ განხილვის უფლებით“. ბევრი ქვეყნის სასამართლო სისტემა კვლავაც სასამართლოებში საქმეთა დავალიანების პრობლემის გადაჭრის წინაშე დგას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „გონივრულ ვადაში საქმის განხილვის“ მოთხოვნის დაცვაზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის მიმართ არსებობს მრავალი ქვეყნის ინტერესი.⁴ ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. 2017 წლის 8 თებერვალს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაში შეიქმნა სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთ ფუნქცია საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის, საერთო სასამართლოების დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებელთა შესწავლა, მოსამართლეთა მივლინების საჭიროება, საქმის წარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან

³ <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81>

⁴ ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) კონცეფციის დოკუმენტი „საქმეთა დავალიანების შემცირების მექანიზმების შემუშავების თაობაზე“ 07.12.2022 ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/cepej-2022-12-concept-note-backlog-reduction-tool-en-adopted/1680a99c98>

დაკავშირებული ინფორმაციისა და რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და შესაბამის საერთო სასამართლოებში.⁵

კანონპროექტის განხილვის ეტაპზე გამოქვეყნდა სასამართლო ხელისუფლების ხედვა საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ „გავრცელებული განმარტებით, საქმეთა ნაკადის მართვა მოიცავს სასამართლოს ზედამხედველობას განსახილველ საქმეთა პროგრესზე. მოსაზრება იმის შესახებ, რომ, რადგან საქმეებს მოსამართლეები ინდივიდუალურად იხილავენ, საქმეთა ნაკადს მართვა არ სჭირდება, არ შეესაბამება სინამდვილეს. დადგენილია, რომ უმეტესწილად სასამართლოში საქმეთა დაგროვებასა და გაჭიანურებას იწვევს არა იმდენად რესურსების ნაკლებობა, არამედ საქმეთა ნაკადის არასწორი და არაეფექტური მართვა. საქმეთა ნაკადის მართვა მოითხოვს ინფორმაციის მუდმივ შეკრებას და ანალიზს, ესენია: საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლები, წარმოებაში არსებულ საქმეთა ასაკი, საქმეთა გაჭიანურებისა და სხდომათა გადადების მიზეზები, საქმეთა განხილვის შუალედური და საბოლოო ვადა და სხვ. გამოცდილება ადასტურებს, რომ საქმეთა გაჭიანურების მიზეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემური პრობლემებია, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია ცენტრალური და ადგილობრივი მენეჯმენტის მჭიდრო თანამშრომლობით. იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტით, საქმეთა ნაკადთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და საბჭოსათვის მისი მიწოდება ადგილობრივ დონეზე სასამართლოს თავმჯდომარეს კვისრება (თუმცა კანონპროექტში არ არის მითითებული, ვინ უნდა მიიღოს ეს ინფორმაცია ან რისთვის უნდა გამოიყენოს იგი). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ამ ინფორმაციის ანალიზი სასამართლო სისტემის მასშტაბით სწორედ სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციას შეადგენს.“⁶

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო ხელისუფლებას გააზრებული აქვს, რა გამოწვევებია სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებით და საკანონმდებლო დონეზე გარკვეულწილად რეგულაციებიც არის შემოღებული, საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ პრაქტიკაში მაინც აქტუალურია მოსამართლეთა გადატვირთულობის პრობლემა. რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, საქმეების რიცხვის ზრდითა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობით, ხოლო, მეორე მხრივ, საქმეთა განაწილების სისტემის ბუნდოვანი და არაეფექტური მექანიზმების არსებობით.

2018 წელს ევროპის საბჭოს პროექტის – „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, ევროკავშირის პროექტის – EU4Justice და USAID-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის – PROLoG მხარდაჭერით განხორციელდა კვლევა საქართველოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის დასადგენად, რომლის თანახმადაც, „საქართველოს სჭირდება 410 მოსამართლე, უფრო ზუსტად, 380-იდან 450-მდე მოსამართლე. დატვირთულობის ახლანდელი მაჩვენებლების გათვალისწინებით, 410 მოსამართლის შემთხვევაშიც კი საქართველოს სასამართლო

⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველო ორგანული კანონის 56¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

⁶ საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების დასაბუთება, გვ. 4, ხელმისაწვდომია <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sseer.pdf>

სისტემები კარგად მუშაობს. სავარაუდო ციფრი კი (410 მოსამართლე) ბევრად აღემატება მოსამართლეების ამჟამინდელ რაოდენობას (დაახლოებით 310)...⁷

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესწავლილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015-2018 წლების პრაქტიკა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის თვალსაზრისით. მითითებული კვლევის თანახმად, „საქართველოს საერთო სასამართლოების გადატვირთულობა, წლებია, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საქმის განხილვის გაჭიანურება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების – სამართლიანი სასამართლოს უფლების – ხელყოფის რისკებს წარმოშობს. გარდა ამისა, საქმეთა სიჭარბემ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხსა და მათ დასაბუთებულობაზე.“⁸

„ღია სივრცე კავკასიის“ მიერ 2021 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელიც ეხებოდა იმერეთის რეგიონის სასამართლოებში მოსამართლეებისა და თანაშემწეების საგანმანათლებლო და პრაქტიკულ საჭიროებას, ერთ-ერთ მიგნებად მითითებულია, რომ „რესპონდენტთა თქმით, ადამიანური რესურსების სიმცირე და სპეციალიზაციის არარსებობა (მოსამართლეთა, თანაშემწეთა არასაკმარისი რაოდენობა, თანაშემწეთა ფუნქციების გაუმიჯნაობა) სასამართლო საქმეების მზარდი რაოდენობის პირობებში ნეგატიურად აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე“.⁹

მოსამართლეთა არასაკმარის რაოდენობასა და მათ დატვირთულობაზე ყურადღებაა გამახვილებული კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ – მიერ 2023 წელს მომზადებულ კვლევაშიც, კერძოდ, კვლევის ავტორთა მოსაზრებით, „მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა საქმეთა განაწილების სისტემასა და დატვირთულობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და ეფექტიანი და დროული მართლმსაჯულების განხორციელებას უშლის ხელს. ამასთანავე, მოსამართლეთა გადატვირთულობა უარყოფითად აისახება როგორც მართლმსაჯულების, ისე ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის, პროფესიული ზრდისა და, ზოგადად, სასამართლო სისტემის განვითარების ხარისხზე.“¹⁰

მითითებულ კვლევათა და საქართველოს ადვოკატთა პრაქტიკაში არსებული გამოწვევების (რაც ითქვა და განხილულიც იყო არაერთ სამუშაო თუ ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების შეხვედრათა ფორმატში) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია წინამდებარე ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება,

რომლებშიც ძირითადად განხილულია ადვოკატთა თვალსაზრისი საქმეთა ნაკადების მართვის პრობლემურ საკითხებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

⁷ იესპერ ვიტრუპი, თეა მაჩაიძე, ელენე ჯანელიძე, მარიამ მაყიშვილი, „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“, 2018 წ.

⁸ „საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015-2018 წლების პრაქტიკა“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2019 წ., გვ. 4, ხელმისაწვდომია <https://idfi.ge/public/upload/Deadline%20Compliance%20in%20Tbilisi%20City%20Court.pdf> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

⁹ „სასამართლო კარს მიღმა: მოსამართლეებისა და თანაშემწეების შეხედულებები სასამართლოს საგანმანათლებლო და პრაქტიკულ საჭიროებებზე (იმერეთის სასამართლოები)“ „ღია სივრცე კავკასია“ 2021 წ., გვ. 7, ხელმისაწვდომია https://cos.ge/uploads/judges_geo.pdf (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

¹⁰ „მართლმსაჯულების რეფორმების ათი წელი: გამოწვევები და პერსპექტივები“ – კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის 2023 წ., გვ. 47, ხელმისაწვდომია http://www.coalition.ge/files/reporma_170x240_geo_3.pdf

საერთაშორისო რეკომენდაციები და გაიდლაინები

2007 წელს CEPEJ-მა სასამართლო დროის მართვის საკითხების შესწავლისა და ანალიზისათვის შექმნა სამუშაო ჯგუფი SATURN-ი, რომლის სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც აუცილებელია წევრ-სახელმწიფოებში სასამართლო ვადის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ამასთან, საკმარისად დეტალური, რათა წევრ-სახელმწიფოებს მიეცეთ საშუალება განახორციელონ ის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის თვალსაზრისით, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.

მისი საქმიანობის პერიოდში სამუშაო ჯგუფმა შეადგინა არაერთი გზამკვლევი და შეიმუშავა არაერთი რეკომენდაცია, რომლებიც სასამართლოში დროის მართვას ეხება.

დღეის მდგომარეობით ყველაზე სრულყოფილი სახე აქვს 2021 წლის 9 დეკემბრის მე-4 განახლებულ გაიდლაინს სასამართლოს დროის მართვის შესახებ, რომელიც ეყრდნობა კომპლექსურ მიდგომას და განკუთვნილია მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული ყველა პირისათვის, მთლიანად სასამართლო სისტემისთვის (მოსამართლე, მაგისტრი, სასამართლოს ადმინისტრაცია და სხვ.), პროკურორებისთვის, ადვოკატებისთვის, სასამართლო ექსპერტებისა და აღმასრულებლებისთვის.

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში გაანალიზებულია სასამართლო სისტემისა და ადვოკატებისთვის განკუთვნილი მთავარი გაიდლაინები. აღსანიშნავია, რომ სასამართლოსთვის განკუთვნილი გაიდლაინები ემყარება შემდეგ **ზოგად პრინციპებს**:

- **გამჭვირვალობა და განჭვრეტა:** მომხმარებლები უნდა იყვნენ ჩართულნი სამართალწარმოების დროის მენეჯმენტში, ასევე ინფორმირებული იმ ფაქტორების თაობაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ პროცესის ხანგრძლივობაზე. პროცესის ხანგრძლივობა უნდა იყოს პროგნოზირებადი, ხოლო სტატისტიკური მონაცემები ხანგრძლივობის შესახებ – საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

- **ოპტიმალური ხანგრძლივობა:** საქმის წარმოება უნდა იყოს შესაბამისი და არა გაუმართლებლად ხანგრძლივი ან ზედმეტად მოკლე. დროის მენეჯმენტი უნდა იყოს მიუკერძოებელი, თანმიმდევრული მომხმარებლების მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

- **მონაცემთა შეკრება და დაგეგმვა:**

მნიშვნელოვანია, რომ ყველა იურისდიქციის სასამართლომ განახორციელოს ჩანაწერების წარმოება და მონაცემების შეგროვება შემდეგ საკითხებზე:

- პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარდგენის თარიღი (რა დროსაც ასევე მიზანშეწონილია სასამართლოებმა შეამოწმონ, ამოწურული არის თუ არა მხარის მიერ დავის მოგვარებისთვის წინა სასამართლოს ყველა შესაძლებლობა);
- სასამართლო პროცესის მომზადება (ამ ეტაპის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ქმედება, მაგ.: ექსპერტთა დანიშვნა, მთავარი

სხდომის თარიღის დანიშვნა, მოწმეთა გამოძახება, მოსამზადებელი მოსმენები);

- სასამართლო პროცესის დაწყება (პირველი, არსებითი, ზეპირი მოსმენა);
- შემდგომი მოსმენები მტკიცებულებათა გამოსაკვლევად (ზოგიერთი სახელმწიფო მხოლოდ ერთ, მთავარ, მოსმენას იყენებს);
- მოსმენათა დასასრული;
- გადაწყვეტილების მიღება პირველ ინსტანციაში;
- პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გამოცხადება და მხარეებისთვის ჩაბარება;
- გასაჩივრების პროცედურების დაწყება;
- სააპელაციო სხდომების მომზადება;
- სააპელაციო სასამართლოს სხდომები;
- გადაწყვეტილების მიღება სააპელაციო ინსტანციაში;
- სხვა ეტაპები და საშუალებები (მაგ.: საქმეთა ხელახალი განხილვა ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და ა.შ.)

მითითებული მონაცემების დამუშავება ხელს შეუწყობს პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს, ერთი მხრივ, სამართალწარმოების ხანგრძლივობის თაობაზე რეგულაციების შემუშავებაში, ხოლო, მეორე მხრივ, დაეხმარება მოსამართლეებს ინდივიდუალურ საქმეთა ნაკადების მართვაში. ამასთან, მხარეებისათვის შესაძლებელი გახდება საქმის განხილვის ხანგრძლივობის განსაზღვრა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოების ვადის დაგეგმვა განხორციელდეს საქმეთა კატეგორიებისა და მათი განხილვისთვის საჭირო საშუალო ვადის გათვალისწინებით. ასევე უნდა არსებობდეს შესაბამისი საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალწარმოების თითოეული ეტაპის ხანგრძლივობის კონტროლს, აწარმოებს სტატისტიკას და დაადგენს საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და დაბრკოლების შემთხვევებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს.

მოქნილობა: დროის მენეჯმენტი უნდა შეესაბამებოდეს ცალკეული შემთხვევების საჭიროებებს, დროის ლიმიტი კი დადგინდეს სიფრთხილით. შემჭიდროებულ ვადებში საქმეთა განხილვის შემთხვევები, მათი მიზნიდან გამომდინარე, განიმარტებოდეს გონივრულად.

კოორდინირებული თანამშრომლობა: სასამართლო პროცესებში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე ოპტიმალური და განჭვრეტადი სამართალწარმოების ხანგრძლივობის უზრუნველსაყოფად ერთად უნდა მუშაობდეს ეთიკის წესების გათვალისწინებით. ამასთანავე, კანონმდებლებმა, პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა და მართლმსაჯულების ორგანოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები ოპტიმალური განჭვრეტადი რეგულაციების შექმნისა და მათი ეფექტური დანერგვისთვის.¹¹

ადვოკატებისთვის განკუთვნილი გაიდლაინების ნაწილში ხაზგასმულია ადვოკატების როლი და პასუხისმგებლობა საადვოკატო პრაქტიკაში, ასევე მათი წვლილი სასამართლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში. ამასთან, ყურადღებაა

¹¹ ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სამუშაო ჯგუფ SATURN-ის (Study and Analysis of Timeframes Unit Research Network) მე-4 განახლებული გაიდლაინები სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით, 09.12.2021 წ. ნაწილი I გაიდლაინები სასამართლოსთვის გვ. 3-10, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

გამახვილებული ადვოკატთა პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობაზე, ასევე იმ პრინციპების გათვალისწინების მნიშვნელობაზე, რომლებიც იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან მათ ურთიერთობას უკავშირდება.

საჭიროა ასევე ერთობლივი ტრენინგი იურიდიულ პროფესიებს შორის მათ შორის მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის, რათა ხელი შეეწყოს დიალოგის წარმართვასა და თავ-თავიანთი როლების ურთიერთგაგებას. ეს ერთობლივი სწავლება მიზნად უნდა ისახავდეს თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები და უთანხმოებანი, რომელთა მიზეზითაც შეიძლება გაჭიანურდეს სასამართლო პროცესი. რეკომენდებულია ადვოკატთა ტრენინგურსებზე შემუშავდეს კონკრეტული მოდულები გონივრულ ვადაში საქმეთა განხილვის აუცილებლობისა და ზედმეტი გაჭიანურების თავიდან აცილების მნიშვნელობის შესახებ.

ადვოკატებს მოუწოდებენ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად აქტიური როლი შეასრულონ დავის გადაწყვეტის პროცესებში მანამდე, სანამ ისინი სასამართლო პროცესს მიმართავენ: იგულისხმება მოლაპარაკება და მედიაცია. მათ უნდა ჰქონდეთ დავის გადაწყვეტის სხვადასხვა პროცედურის უაღრესად ფართო გაგება და აგრეთვე საჭირო ტექნიკური უნარები, რათა კლიენტებს ეფექტურად დაუჭირონ მხარი როგორც სასამართლო, ისე მორიგების მიზნით წარმართულ პროცესებში, მათ შორის – მედიაციაში.

რაც შეეხება წინასასამართლო მომზადებას, საქმის განხილვის ხანგრძლივობისა და კონკრეტული საპროცესო მოქმედების ვადების დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადვოკატებსა და სასამართლოებს შორის თანამშრომლობას ე.წ. ჩარჩოშეთანხმების მეშვეობით. მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის დიალოგი შეჯიბრების პრინციპის გათვალისწინებით ხელს უწყობს პროცესის დროს არსებულ სირთულეთა მოგვარებას. მიზანშეწონილია ჩატარდეს წინასწარი მოსმენა საქმის მომზადების შესაფასებლად, მხარეთა პრეტენზიებისა და საქმის შეწყვეტის თაობაზე მოთხოვნების განსახილველად და ასევე მხარეთა პოზიციებისა და მტკიცებულებათა შესადარებლად. უნდა შეიქმნას პროცედურული კალენდრები საქმის მომზადებისა და სასარჩელო წარმოების (მათ შორის შუამდგომლობის ან მტკიცებულების წარდგენის, მოწმის დაკითხვისა და სხვა მოქმედებების) ვადის მითითებითა და დაცვით. წერილობითი განცხადება ანდა შუამდგომლობა წარდგენილი უნდა იყოს შეთანხმებულ/დადგენილ ვადაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული უგუნური ან უსაფუძვლო მოთხოვნა. ამასთან, გადავადების შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული, უნდა ექვემდებარებოდეს მოსამართლეთა მხრიდან შეფასებას და აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიძლება, რომ გასაჩივრდეს.

საქმეთა მართვის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, შესაბამისად, მითითებულ გაიდლაინებში ხაზგასმულია იურისტების ცოდნისა და უნარების მნიშვნელობა ამ საშუალებებში. მიზანშეწონილია, ადვოკატთა ოფისები აღჭურვილი იყოს აუცილებელი ტექნიკით, რათა ხელი შეუწყოს საქმის წარმოების დიგიტალიზაციას, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტებისა და ფაილების ერთობლივ მართვას, ასევე ვიდეოკონფერენციების გზით სასამართლო სხდომების ჩატარებას, რათა თავიდან ავიცილოთ მათი გადადება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოკონფერენციები წახალისებულია სხდომათა გადადების შესამცირებლად, აღიარებულია, რომ

პირისპირ მოსმენას სრულყოფილად ვერ ჩაანაცვლებს დისტანციური სასამართლო სხდომები.

ყურადღებაა გამახვილებული ადვოკატების ვალდებულებაზეც, უზრუნველყონ მართლმსაჯულების ეფექტური ფუნქციონირება და საქმის წარმოება გონივრულ ვადაში კლიენტების ინტერესთა გათვალისწინებით. ნაგულისხმევია, რომ იურისტები დაიცავენ ადვოკატთა ან სხვა პროფესიული ასოციაციების მიერ შემუშავებულ პროფესიულ სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრული იქნება ზოგიერთი პროცედურული სანქცია, რომლებიც გამოიყენება როგორც გამონაკლისი, ადვოკატების მიერ განზრახ და მიზანმიმართულად ვადების შეუსრულებლობის შემთხვევაში.¹²

ზემოთ განხილული გაიდლაინების მიხედვით, კანონმდებლებმა და პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა რეგულაციებისა და წესების შემუშავებისას მხედველობაში უნდა მიიღონ ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული შესაბამისი რეკომენდაციები, მათ შორის:

1. ევროსაბჭოს რეკომენდაცია NR(84)5 მართლმსაჯულების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად შექმნილი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების თაობაზე;
2. ევროსაბჭოს რეკომენდაცია NR(86)12 სასამართლოში საქმეთა ნაკადების გადატვირთულობის პრევენციისა და შემცირების ღონისძიებათა თაობაზე.

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(84)5 მართლმსაჯულების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად შექმნილი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების თაობაზე – აღნიშნული რეკომენდაციით განსაზღვრულია ცხრა ძირითადი პრინციპი, რომლებიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესების ხელშეწყობას და საქმეთა დაუსაბუთებელი გაჭიანურების თავიდან აცილებას.

პრინციპი 1:

- საქმის წარმოება, როგორც წესი, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ორი მოსმენით: პირველი არის მოსამზადებელი, მეორე – არსებითი განხილვისთვის, კერძოდ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და მხარეთა არგუმენტების მოსმენისთვის, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად.
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სხდომათა გადადება და დაწესდეს სანქციები პროცედურული შეფერხების, მათ შორის სხდომათა დაუსაბუთებელი გადადების გამო.
- სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გამოიძახოს მოწმეები და გამოიყენოს სანქციები დაუსაბუთებელი გამოუცხადებლობის შემთხვევაში;
- სანქციები უნდა იქნას გამოყენებული ასევე, თუ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი საპატიო მიზეზის გარეშე ვერ წარადგენს ან აჭიანურებს თავის დასკვნას.
- მტკიცებულებათა მისაღებად უნდა გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

¹² ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სამუშაო ჯგუფ SATURN-ის (Study and Analysis of Timeframes Unit Research Network) მე-4 განახლებული გაიდლაინები სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით, 09.12.2021 წ. ნაწილი III გაიდლაინები ადვოკატებისთვის გვ. 14-16, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

პრინციპი 2:

- თავიდანვე უსაფუძვლო ან/და დაუსაბუთებელ სარჩელებთან/განცხადებებთან დაკავშირებული სამართალწარმოება უნდა გადაწყდეს მაქსიმალურად მოკლე დროში. ამასთან, ასეთი შემთხვევებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოწინააღმდეგე მხარისთვის შესაძლო ჯარიმების ან ზიანის ანაზღაურების დაკისრება;
- მხარეები, რომლებიც ბოროტად გამოიყენებენ პროცედურებს საქმის გასაჭიანურებლად, დაუყოვნებლივ უნდა დაისაჯნენ ან დაეკისროთ სანქციები. ადვოკატები შეიძლება პასუხისმგებელი იყვნენ ხარჯების გამო. ამასთან, პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა დააწესონ დისციპლინური ზომები ადვოკატებისათვის მსგავს შემთხვევებში არასათანადო მოქმედების გამო.

პრინციპი 3:

სასამართლომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი საქმის სწრაფ განხილვას, განსაკუთრებით წინასწარი სხდომის დროს მხარეთა უფლებების პატივისცემითა და თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფით. მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება მოითხოვოს განმარტებები, მოითხოვოს მხარეთა დასწრება, დასვას სამართლებრივი კითხვები, გამოითხოვოს მტკიცებულება, როდესაც ეს შეესაბამება საქმეს, ზედამხედველობა გაუწიოს მტკიცებულებათა აღებას, გამორიცხოს შეუფერებელი მოწმეები და შეზღუდონ ზედმეტი მოწმეები. უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს სამართალწარმოების ფარგლებში.

პრინციპი 4:

პირველ ინსტანციაში სასამართლოს უნდა ჰქონდეს დისკრეცია, საქმის ბუნებიდან გამომდინარე, განსაზღვროს ზეპირი მოსმენის გარეშე, ზეპირი მოსმენით ან კომბინირებული ფორმით განხორციელოს საქმის განხილვა, თუ კანონით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

პრინციპი 5:

- მხარეებმა პრეტენზიები და პოზიციის გამამყარებელი მოსაზრებანი და მტკიცებულებანი უნდა წარმოადგინონ, რაც შეიძლება ადრე, სასურველია წინასწარი ეტაპის დასრულებამდე, თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.
- აპელაციის დაწყებისას დაუშვებელია არ იყოს წარმოდგენილი ფაქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მათ შესახებ არ იცოდა მხარემ, ან არ იყო ჩართული მონაწილე მხარე, ან თუ არსებობს მათი დაშვების სხვა განსაკუთრებული საპატიო მიზეზი.

პრინციპი 6:

გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი საქმის დამთავრებისას ან შეძლებისდაგვარად მალე. გადაწყვეტილება უნდა იყოს ლაკონიური, ამასთან, მხარეთა მიერ წამოჭრილი ყველა მოთხოვნა დამაჯერებლად განხილული, შესაბამისი სამართლებრივი წესების გამოყენებით.

პრინციპი 7:

სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ არსებული სამართლებრივი პროცედურების, მათ შორის გადაწყვეტილების გასაჩივრების, ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად უნდა დადგინდეს შესაბამისი ზომები.

პრინციპი 8:

- დაწესდეს კონკრეტული წესები, რათა დაჩქარდეს დავათა გადაწყვეტა გადაუდებელ შემთხვევებში, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხება უდავო უფლებებს ან წინასწარ დადგენილ ლიკვიდირებულ მოთხოვნებს, ასევე გარკვეულ საკითხებს, ესენია: საგზაო ავარია, შრომითი დავა, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა და ზოგიერთ საოჯახო სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული დავა.
- უნდა დაწესდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს გამარტივებული პროცედურების ჩატარებას, ლიმიტირებული სასამართლო სხდომების ჩატარებას ან საქმეთა განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევისათვის, ასევე სასამართლო ექსპერტების დანიშნისთვის მოქნილი წესების დანერგვას. სასამართლომ აქტიურად უნდა წარმართოს საქმე და განიხილოს მტკიცებულებანი.
- ამასთან, აღნიშნული წესები შეიძლება იყოს სავალდებულო ან გამოიყენებოდეს სარჩელის/განაცხადის წარდგენისთანავე, ანდა საჭიროებდეს ყველა მხარის თანხმობას, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

პრინციპი 9:

სასამართლო ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიები, რათა მათ უზრუნველყონ მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება. ეს მოიცავს სამართლებრივი წყაროების ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების განხორციელების დაჩქარებას.¹³

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(86)12 სასამართლოში საქმეთა ნაკადის გადატვირთულობის პრევენციისა და შემცირების ღონისძიებებთან დაკავშირებით – აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, წევრ-სახელმწიფოებს მართლმსაჯულების პოლიტიკის განსაზღვრისას შესაძლებლობა აქვთ განიხილონ მითითებული საკითხების გამოყენების მიზანშეწონილობა, კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს შემდეგს:

I. დავის მორიგებით გადაწყვეტის წახალისება:

- შემათანხმებელი პროცედურის დანერგვა და სტიმულირება სასამართლო პროცესის დაწყებამდე ან მის ფარგლებს გარეთ;

¹³ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(84)5 მართლმსაჯულების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად შექმნილი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების თაობაზე 28.02.1984 წ. ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804e19b1> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

- დაეკისროთ მოსამართლეებს პასუხისმგებლობა, აქტიურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა სასამართლო პროცესის დროს, რათა დავა მორიგებით დასრულდეს;
 - იურისტების ეთიკურ მოვალეობად განისაზღვროს მორიგებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება სამართალწარმოებისთვის აუცილებელი მოქმედებების დაწყებამდე.
- II. მოსამართლეთა არასასამართლო ამოცანების შემცირება:**
- უზრუნველყოფილ იქნეს არასასამართლო ამოცანების თანდათანობით გადაცემა სხვა ფიზიკურ პირებზე ან სუბიექტებზე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.
- III. დავის მოგვარების ალტერნატიული ორგანოების შექმნა:**
- უმნიშვნელო დავაზე, ასევე სხვადასხვა სპეციალურ სამართლებრივ სფეროს მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად დავის განსახილველი ორგანოების შექმნა სასამართლო სისტემის გარეთ.
- IV. არბიტრაჟის გაძლიერება:**
- არბიტრაჟის, როგორც სასამართლოების ალტერნატივის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება.
- V. ერთი მოსამართლის სასამართლო პროცესის ხელშეწყობა:**
- წახალისდეს პირველ ინსტანციაში ერთი მოსამართლის მიერ საქმის განხილვა შესაბამის საქმეთა შორის.
- VI. სასამართლოს იურისდიქციის პერიოდული გადახედვა:**
- რეგულარულად შეფასდეს სასამართლოს კომპეტენცია სარჩელის ოდენობისა და დავათა კატეგორიის მიხედვით, რათა სამართლიანად გადანაწილდეს სამუშაო დატვირთვა.¹⁴

საქართველოს კანონმდებლობა

როგორც უკვე აღინიშნა, სამაგიდო კვლევის ფარგლებში საერთაშორისო რეკომენდაციებსა და გაიდლაინებთან ერთად შესწავლილი იქნა საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საქმეთა განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შემდგომ მათი შესაბამისობის დადგენისა და წინამდებარე ანგარიშის გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად მიზნით.

მკვლევართა მიერ გაანალიზდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულწილად არეგულირებს ზემოთ მითითებულ რეკომენდაციებში განხილულ საკითხებს, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით *განსაზღვრულია საპროცესო ვადები*, რომლებიც პირობითად შეიძლება ორ ძირითად ნაწილად

¹⁴ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(86)12 სასამართლოში საქმეთა ნაკადების გადატვირთულობის პრევენციისა და შემცირების ღონისძიებების თაობაზე 16.09.1986 წ., ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804f7b86> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

დავყოთ: კანონით განსაზღვრული და მოსამართლის მიერ დადგენილი ვადა. ამასთან, მათი დაჯგუფება შესაძლებელია ადრესატების მიხედვითაც, კერძოდ:

- სასამართლოსთვის დადგენილი ვადა, რომელიც საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების/მომზადების თვალსაზრისით ძირითადად კანონით განისაზღვრება;
- პროცესის მონაწილეთა მიერ შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად დადგენილი ვადა, რომელიც შეიძლება დადგინდეს როგორც კანონით, ისე განისაზღვროს მოსამართლის მიერ;
- ვადა, რომელიც უნდა დაიცვან სხვა პირებმა მოსამართლეთა მითითებების გათვალისწინებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ გარკვეული ტიპის საქმეებისთვის (ისე, როგორც ეს განხილულია შესწავლილ საერთაშორისო რეკომენდაციებში) განსაზღვრულია სპეციალური და შემჭიდროებული განხილვის ვადა. მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიის საქმეებიდან: ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეები, რომლებიც უნდა განიხილებოდეს არაუგვიანეს ერთი თვისა.

ასევე ადმინისტრაციული სამართლებრივი კატეგორიის საქმეებიდან მაგალითად გამოდგება განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ, რომელსაც სასამართლო განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად არის ასევე დადგენილი მაგისტრატი მოსამართლეების მიერ პირველი ინსტანციით განსახილველი საქმეები, კერძოდ:

- ქონებრივი დავა, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს;
- უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეები, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს;
- საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენისა და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ „*მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები განიხილება დაჩქარებული წესით*“¹⁵, თუმცა არ არის განსაზღვრული კონკრეტული ვადა, შესაბამისად, იგულისხმება, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზეც ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით¹⁶

¹⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217¹ მუხლის პირველი ნაწილი

¹⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3, 3¹ და 3² ნაწილების თანახმად, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი

განსაზღვრულ საქმეთა განხილვის საერთო ვადა, რაც, ვფიქრობთ, რომ არ არის ეფექტური და რეალურად ვერ უზრუნველყოფს საქმეთა დროულ განხილვას. რაც შეეხება მოსამართლის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად მხარის ან სხვა პირისათვის ვადის განსაზღვრის საკითხს, აღნიშნული ზოგადად დარეგულირებულია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

პასუხისმგებლობა სასამართლოს მიერ დადგენილი ვადების დარღვევის გამო

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის სანქციები მოსამართლის მიერ დადგენილი ანდა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, მათ შორის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმება წერილობით ანდა ნივთიერ მტკიცებულებათა წარმოუდგენლობისთვის, ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირის დაჯარიმება მტკიცებულების წარმოუდგენლობისათვის, მოწმისა და თარჯიმნის დაჯარიმება სასამართლო სხდომაზე არასაკაპტო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის. ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია, რომლის თანახმადაც, „*მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაკაპტო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს 50 ლარით*“. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარის დაჯარიმებას 150 ლარით სამედიაციო შეხვედრაზე არასაკაპტო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე – მისთვის სასამართლოს ხარჯების სრულად დაკისრებას, მიუხედავად დავის შედეგისა. თუმცა, თუ აღნიშნული საქმე ბოლომდე დასრულდება მედიაციის ეტაპზე ან სასამართლოში მორიგების გზით, მხარე გათავისუფლდება მითითებული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის რეგულაციები ხელს შეუწყობს დავათა მორიგების გზით დასრულების პრაქტიკის განვითარებას.

სხდომათა რაოდენობა, მოსამზადებელი სხდომები და სხდომათა გადადება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია, რომ მოსამართლემ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა საქმე განიხილოს დროულად

ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამ კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არაუგვიანეს 45 დღისა, ხოლო, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმზილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 60 დღისა. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების საქმეს სასამართლო განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. საქმის განმზილველი სასამართლოს განჩინებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით“.

და ერთ სასამართლო სხდომაზე იყოს შესაძლებელი განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა, კონკრეტული საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს მოსამზადებელი სხდომის ჩატარების შესაძლებლობასაც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი კი დამატებით – განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების შესაძლებლობას, იმის გადასაწყვეტად, შეიძლება თუ არა სარჩელის დაშვება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „*მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღეს მოსამართლე ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადნენ ზეპირი შეჯიბრებისათვის.*“

ამავე კოდექსის 216-ე მუხლი კი ითვალისწინებს სხდომათა გადადების შესაძლებლობასაც, კერძოდ, მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, „*საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გონივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია, საქმის განხილვა განაგრძოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. მხარეები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას.*“

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია დავათა გადაწყვეტის შესაძლებლობა ისეთი ალტერნატიული საშუალებებით, როგორებიც არის მედიაცია და არბიტრაჟი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია საქმის შეწყვეტის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, დავა განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს და, თუ ერთ-ერთი მხარე შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე აღნიშნულის თაობაზე მიმართავს სასამართლოს განცხადებით¹⁷. ხოლო რაც შეეხება შეთანხმებას დავის მედიაციის გზით გადაჭრაზე, აღნიშნული წარმოადგენს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიაღებია.¹⁸

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ფულადი დავალიანების გადახდევინებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს გამარტივებულ წარმოებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნის წამოყენება არ არის დამოკიდებული შესასრულებელ საპასუხო ვალდებულებაზე. ამასთან, აღნიშნული წარმოება დასაშვებია, თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე.¹⁹

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე¹ მუხლი

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ³ ქვეპუნქტი

¹⁹ საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, თავი XVI¹

ასევე საგულისხმოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია სავალდებულო მედიაციას დაქვემდებარებულ დავათა ჩამონათვალი, ესენია:

- საოჯახო ურთიერთობები: განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, მეუღლეთა თანასაკუთრება, შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა და ა.შ. (გარდა სხვა ტიპის დავისა, რომელიც უკავშირდება შვილად აყვანას, შვილად აყვანის ბათილად ცნობას ან გაუქმებას, მშობლის უფლების შეზღუდვას ან ჩამორთმევას, ქალის მიმართ ან/ და ოჯახში ძალადობას);
- სამემკვიდრეო დავა;
- სამეზობლო დავა;
- შრომითი დავა (გარდა საქართველოს ორგანული კანონით – „საქართველოს შრომის კოდექსით“ – გათვალისწინებული კოლექტიური დავისა);
- საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული დავა;
- ქონებრივი დავა, თუ დავის საგნის ღირებულება 20 000 ლარს არ აღემატება;
- საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავა, თუ დავის საგნის ღირებულება 10 000 ლარს არ აღემატება;
- არაქონებრივი დავა.

აღნიშნული კატეგორიის დავაზე მედიაციის სავალდებულოება მიუთითებს მოსამართლის უფლებამოსილებაზე, შეხედულებისამებრ, მხარეთა თანხმობის გარეშე, გადასცეს საქმე მედიაციაში.

სავალდებულო მედიაციას დაქვემდებარებულ დავის კატეგორიებთან ერთად სასამართლო მედიაცია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება ნებისმიერ სამოქალაქო დავაზე გავრცელდეს.

ასევე საინტერესოა ჩანაწერი სსსკ-ის 205-ე მუხლის 1¹ ნაწილში, რომელიც მოსამართლის მოვალეობად მიიჩნევს, გამოარკვიოს მხარეთა მიერ დავის სასამართლო მედიაციით განხილვაზე უარის თქმის მიზეზები, როდესაც ისინი სარჩელისა თუ შესაგებლის სპეციალურ გრაფაში აღნიშნულთან დაკავშირებით უარყოფით პასუხს მიუთითებენ. მოსამართლის აპარატმა მხარეთა ასეთი განწყობა შეიძლება გამოიკვლიოს როგორც მოსამზადებელ სხდომაზე, ასევე მათთან სატელეფონო ან/და ვიდეოკონფერენციის დროს. მაგ ეტაპზე მნიშვნელოვანია, მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია მედიაციის არსსა და მთავარ მახასიათებლებზე, რათა ინფორმირებულებმა შეძლონ გადაწყვეტილების მიღება მედიაციის მექანიზმის გამოყენება/არგამოყენებაზე.

ვფიქრობთ, რომ მითითებული საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტური დანერგვა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა სასამართლო მაქსიმალურად განთავისუფლდეს გადატვირთვისაგან.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართლებრივ კატეგორიებში დავის არასასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ერთგზის წარდგენის შესაძლებლობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.²⁰ ასეთ შემთხვევებს კანონმდებლობა მხოლოდ გამონაკლისის სახით მიუთითებს, მაგალითად გამოდგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო საჩივარს განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აქტის გამომცემი სტრუქტურული ერთეულის ან თანამდებობის პირის ზემდგომი ორგანო ან თანამდებობის პირი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს პირდაპირ სასამართლოს მიმართოს. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით იმავე კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება პირდაპირ სასამართლოში. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა მსგავს შემთხვევებსაც, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ გამონაკლისის სახით.

საქმეთა განხილვის მოქნილობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობისთვის არც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციებია უცხო, რადგან ეს ეხება საქმეთა ეფექტურ განხილვას, მათ შორის უნდა ვახსენოთ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე, თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფორმდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ, მაგრამ ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარეს ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.“

გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა

²⁰ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი

გამჭვირვალობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით ხაზგასასმელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციები, რომელთა საშუალებითაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა, მეორე მხრივ კი, დადგენილია მათი ვალდებულება, დაამუშაონ და გასცენ საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეხება საქმეთა განხილვის ვადას, განსახილველ საქმეთა რაოდენობას, მოსამართლეთა რაოდენობასა და სპეციალიზაციას და ა.შ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების უფლებამოსილებას, რომლის თანახმადაც, მითითებული სასამართლოების თავმჯდომარე „*ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს ინფორმაციას საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ (მათ შორის საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმის წარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმის წარმოების შეფერხების მიზეზებს)* და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმის წარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად.“²¹

განჭვრეტის თვალსაზრისით გარკვეულწილად მნიშვნელოვანია რეგულაციები საპროცესო მოქმედებებისთვის ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

საქმეთა განაწილების სისტემა

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონით, განსაზღვრულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შორის საქმეთა ავტომატურად განაწილება ელექტრონული სისტემის მეშვეობითა და შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. ამასთან, საქმეთა ავტომატურად განაწილების წესი შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში არ განხორციელებულა საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის, როგორც რეგულაციის, ისე პრაქტიკის, კვლევა, მკვლევართა ჯგუფი ეყრდნობა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ 2023 წლის კვლევაში მითითებულ მოსაზრებებს, რომელთა თანახმადაც, „*საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დაინერგა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასიკეთო სიახლე იყო, რომელმაც საწყის ეტაპზე დადებითი შეფასებები დაიმსახურა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან. თუმცა სისტემის ბოლო წლების მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ მისი დახვეწა აღარ არის პრიორიტეტული. გარდა ამისა, ბოლო წლებში მიღებული ცვლილებები უმნიშვნელო და უმეტესად ტექნიკური ხასიათისაა და სასამართლო სისტემაში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ვერ უპასუხებს. საქმეთა განაწილების სისტემის პრობლემურობაზე მიუთითებს ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებიც,*

²¹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

რომელთა თანახმადაც, საქმეთა 1/3-ზე მეტი, როგორც წესი, შემთხვევითობის პრინციპის დაუცველად ნაწილდება. ეს უშუალოდ უკავშირდება იუსტიციის საბჭოს მიერ დადგენილ იმ გამონაკლისი შემთხვევების ვრცელ ჩამონათვალს, როდესაც საქმეები შემთხვევითობის პრინციპის დაუცველად ნაწილდება. ბოლო წლებში საბჭოს მიერ საქმეთა ელექტრონულად განაწილების წესში შეტანილი ცვლილებები ზოგადი (საქმეთა შემთხვევითად განაწილების) წესიდან გამონაკლისების ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს, რაც საქმეთა შემთხვევითად განაწილებასა და ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში არაკანონიერად ჩარევის რისკებს პირდაპირპროპორციულად ზრდის. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში საგამონაკლისო შემთხვევების დადგენას მოსამართლეთა როტაციის მანკიერი პრაქტიკა და პრობლემური საკადრო პოლიტიკა იწვევს.²²

რაც შეეხება წინა ქვეთავში განხილულ საერთაშორისო რეკომენდაციებით გათვალისწინებულ რეგულაციებს, რომლებიც არ არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- მკაფიო გაიდლაინები მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებისათვის, საქმეთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებული (არსებობს გარკვეული ტიპის საქმის სარეგისტრაციო გაიდლაინები კანცელარიის თანამშრომლებისთვის, მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტი, თუმცა უშუალოდ საქმეთა მართვასთან დაკავშირებული მსგავსი შინაარსის დოკუმენტი საჯარო წყაროების მეშვეობით ვერ მოიძებნა);
- იურიდიული პროფესიის (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი) წარმომადგენლებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის განმსაზღვრელი ჩარჩოშეთანხმება საქმეთა ეფექტურად განხილვის საკითხებთან დაკავშირებით;
- სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე სარჩელის/განცხადების სასამართლოში შეტანამდე მხარის მიერ ყველა შესაძლო საშუალების გამოყენება სავალდებულო წესით დავის მოლაპარაკებით დასრულებისათვის, მათი გამოუყენებლობის შემთხვევა კი განხილულ იქნეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად;
- ადვოკატთა პროფესიულ სტანდარტებში შესაბამისი წესების არსებობა სასამართლო პროცედურების განზრახ ბოროტად გამოყენებისა და გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად;
- იმთავითვე უსაფუძვლო ან/და დაუსაბუთებელი სარჩელების/განცხადებების/საჩივრების საქმეთა წარმოება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში და მსგავსი ფაქტის დადგენისას შესაბამისი პირისათვის კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება.

მომდევნო თავებში განხილულია თუ რამდენად შეესაბამება არსებული პრაქტიკა აღნიშნულ რეგულაციებს, ერთი მხრივ, სასამართლოთა მიერ მონაცემთა დამუშავების

²² „მართლმსაჯულების რეფორმების ათი წელი: გამოწვევები და პერსპექტივები“ – კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის 2023 წელი, გვ. 48, ხელმისაწვდომია http://www.coalition.ge/files/reporma_170x240_geo_3.pdf (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

თვალსაზრისით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის მაგალითზე, ხოლო, მეორე მხრივ, საქმეთა განხილვის თვალსაზრისით (სხდომის დანიშვნა, გადადება, გადაწყვეტილების გამოცხადება/მომზადება და სხვ.) ადვოკატთა გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზის მაგალითზე.

თავი IV რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგები

მონაცემები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა მოძრაობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოებში

გამომდინარე იქიდან, რომ საერთო სასამართლოებისა და საქართველოს იუსტიციის საბჭოსგან ვერ მივიღეთ გამოთხოვილი ინფორმაცია, მკვლევართა მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული 2020-2021 წლების სტატისტიკური მონაცემები პირველი ინსტანციით განსახილველ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.²³

სტატისტიკური მონაცემები სამოქალაქო საქმეთა შესახებ

მითითებული მონაცემების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო კატეგორიის სხვადასხვა დავაზე 2020 წელთან შედარებით 2021 წელს 27,62%-ით გაიზარდა განსახილველი საქმეების რაოდენობა.


გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ მოსამართლეთა მცირერიცხოვნობა არ შეიძლება მივიჩნიოთ მოსამართლეთა დატვირთვის გამომწვევ გარემოებად, რადგან მოსამართლეთა დატვირთვაზე ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში არსებული სოციალური, დემოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მონაცემები²⁴, მკვლევართა მიერ ყურადღება გამახვილდა საქმეთა წარმოების სახეებსა და სასარჩელო წარმოების დავათა კატეგორიებზე, იმ კატეგორიის დავათა იდენტიფიცირებისათვის, რომელთა გამოც ყველაზე ხშირად მიმართავენ სასამართლოებს.

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსახილველ საქმეთა ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი მოდის სასარჩელო წარმოების წესით განსახილველ საქმეებზე (94%), ხოლო მათ შორის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი – ვალდებულებით სამართლებრივ დავაზე (2020-84%/2021-85%). აღსანიშნავია ისიც, რომ ვალდებულებით სამართლებრივ დავათა დაახლოებით 70% სესხის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავაა. ამასთან, სესხის ხელშეკრულებების გამო


²³ აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები სრულყოფილად არ მოიცავს 2020-2021 წლების იდენტურ ინფორმაციას, რის გამოც მათი შედარებითი დეტალური ანალიზი ვერ განხორციელდა.

²⁴ იესპერ ვიტრუპი, თეა მაჩაიძე, ელენე ჯანელიძე, მარიამ მაყიშვილი, „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“, 2018 წ.

გაჩენილ დავათა პროცენტული მაჩვენებელი სასარჩელო წარმოების დავათა საერთო მაჩვენებელთან შედარებით შეადგენს დაახლოებით 60%-ს (იხ. ცხრილები 1-6).




ცხრილი 1




ცხრილი 2

ვალდებულებითი სამართლებრივი დავები 2020 წ. (92677)




ცხრილი 3

პირველი ინსტანციით განსახილველი სამოქალაქო საქმეები 2021 წლის მდგომარეობით საქართველოში (148 436)




ცხრილი 4

პირველი ინსტანციით განსახილველი სასარჩელო სამოქალაქო საქმეები
2021 წლის მდგომარეობით საქართველოში (139 836)



ცხრილი 5

ვალდებულებითი სამართლებრივი დავები 2021
წ. (119553)



ცხრილი 6

სწორედ აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით მკვლევართა ჯგუფის მიერ ერთ-ერთ შესაფასებელ საკითხად დადგინდა ფულადი თანხის დავალიანების გადახდასთან დაკავშირებულ დავათა მარეგულირებელი კანონმდებლობა და აგრეთვე პრაქტიკა აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებული სამართალწარმოებისა სააღსრულებო ბიუროს მიერ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების გამარტივებული წარმოების შესახებ.

სააღსრულებო ბიუროდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია იმ საკითხებზე, თუ რამდენი განცხადება იყო შეტანილი 2020 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე გამარტივებული წარმოების წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ და როგორი იყო მათი დაკმაყოფილების სტატისტიკა წლებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.²⁵ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მითითებული წლების მიხედვით სააღსრულებო ბიუროს უფრო მეტი ადამიანი მიმართავდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დაბალია (2020 წ. – 9% - 2021 წ. – 6%) განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მაჩვენებელი, დაბალია მათი წილიც სასამართლოში განსახილველ სესხთან დაკავშირებული დავის დროსაც, კერძოდ:

2020 წლის მდგომარეობით შეადგენს დაახლოებით 6%-ს, ხოლო 2021 წლის მდგომარეობით – 3%-ს.²⁶

მითითებული მონაცემები გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ რომ: 2020 წელს სესხთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელების მოსარჩელეთა დაახლოებით 94%-ს, ხოლო 2021 წელს – 97%-ს არ გამოუყენებია სააღსრულებო ბიუროსთვის ფულადი დავალიანების გადახდის გამარტივებული წარმოების მექანიზმი.


მკვლევართა მიერ ასევე გაანალიზებულია სამოქალაქო საქმეთა დასრულების პრაქტიკა, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გათვალისწინებით დგინდება, რომ საქართველოს მასშტაბით საერთო სასამართლოების პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა დასრულების მაჩვენებელი (სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე) შეადგენს განსახილველ საქმეთა 47-54%-ს. რაც შეეხება დასრულებულ საქმეებს, დაბალია არსებითი განხილვის შედეგად დასრულებული საქმეების მაჩვენებელი (43%), შესაბამისად, მას აღემატება არაარსებითი განხილვის ფორმით დავათა დასრულების მაჩვენებელი. ასევე ხაზგასასმელია, რომ 2021 წლის მონაცემებით 2020 წელთან შედარებით შემცირებულია არსებითი განხილვით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა (30.82%).

მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქმეთა დასრულების პროცენტული მაჩვენებელი განსხვავებულია რეგიონების მიხედვითაც. მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას, რათა რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით გამოიკვეთოს, რა არის აღნიშნულის მიზეზი: მოსამართლეთა რაოდენობა, მოსამართლეთა კვალიფიციურობა და უნარები საქმეთა მართვის თვალსაზრისით, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ ნდობის კუთხით, რეგიონის სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, ეკონომიკური მონაცემები და სხვ.


ამასთან, აღსანიშნავია, რომ, თუ გავითვალისწინებთ განხილულ სტატისტიკურ მონაცემებს, საკმაოდ დაბალია საქმეთა მორიგებით დასრულების მაჩვენებელი, კერძოდ, აღნიშნული 2020 წელს შეადგენს – 7%-ს, ხოლო 2021 წელს – 5%-ს.

²⁵ დანართი 5: წერილი N14096, 26.04.2023 სააღსრულებო ბიუროდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე

²⁶ დანართი 6: სააღსრულებო ბიუროს წერილი N30649, თარიღი 05.05.2023




ცხრილი 7




ცხრილი 8

დამთავრებული სამოქალაქო საქმეები I ინსტანციაში 2020 წელი (54494)




ცხრილი 9

დამთავრებულ სამოქალაქო საქმეთა % სულ განსახილველ საქმეებში 2020 წელი (რეგიონების მიხედვით)




ცხრილი 10

მონაცემები სამოქალაქო საქმეთა დამთავრების თაობაზე
2021 წელი




ცხრილი 11

დამთავრებული სამოქალაქო საქმეები I
ინსტანციაში 2021 წელი (79995)



ცხრილი 12

დამთავრებულ სამოქალაქო საქმეთა % სულ
განსახილველ საქმეებში 2021 წელი (რეგიონების
მიხედვით)




ცხრილი 13

უნდა ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად დადგინდა: სასამართლოები არ ამუშავებენ სტატისტიკურ მონაცემებს სასამართლო მედიაციისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის მედიაციის ფარგლებში მორიგებით დასრულებულ საქმეებსა თუ იმ საქმეებზე, რომელთა დროსაც მორიგებას ვერ მიაღწიეს და სასამართლოში დავა განახლდა. სწორედ ამიტომ ძალიან ძნელია მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის, მექანიზმის მუშაობის ეფექტურობის შეფასება. თუმცა პრაქტიკოს ადვოკატებთან ჩატარებული ონლაინგამოკითხვისა და ადვოკატების ფოკუსჯგუფისგან მიღებული ინფორმაციის/მონაცემების საფუძველზე გაკეთდა გარკვეული სახის ანალიზი, რომელიც შემდგომ ქვეთავში იქნება განხილული.

სტატისტიკური მონაცემები ადმინისტრაციულ საქმეთა შესახებ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე მიმართვა როგორც 2020, ისე 2021 წლებში სამოქალაქო დავებთან შედარებით გაცილებით დაბალია, კერძოდ, 2020 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებში პირველი ინსტანციით განსახილველ საქმეთა რაოდენობა სამოქალაქო კატეგორიაში შეადგენდა 116 310 საქმეს, ხოლო ადმინისტრაციულში – 21 394 საქმეს, რაც ორივე კატეგორიის საქმეთა ჯამის 15.53%-ს შეადგენს. 2021 წელს კი სამოქალაქო კატეგორიაში იყო 148 436 საქმე, ადმინისტრაციულში – 24 828 საქმე, რაც შეადგენს ორივე კატეგორიის საქმეთა ჯამის 14.32%-ს.

I ინსტანციით განსახილველი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები 2020-2021 წწ.



ცხრილი 14


აღნიშნული მონაცემების შედარებითა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების ანალიზის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართლებრივი კატეგორიების საქმეებზე დაბალი მიმართვის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად შესაძლებელია განიხილებოდეს სწორედ ის გარემოება, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე კანონი ძირითად შემთხვევებში იმპერატიულად მოითხოვს ერთჯერადი გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების აუცილებლობას და აღნიშნული დამოკიდებული არ არის მხარის ნებაზე. განსხვავებით სამოქალაქო სამართლებრივი დავისაგან, რომლის დროსაც მსგავსი რეგულაცია გათვალისწინებულია სამედიაციო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, თუმცა თავად სამედიაციო შეთანხმების არსებობა უშუალოდ მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, რაც პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება. აღნიშნული გარემოება დასტურდება ადვოკატთა გამოკითხვის შედეგებითაც, რომლებიც მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

რაც შეეხება დავათა კატეგორიას, ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით არ ფიქსირდება მკვეთრი განსხვავება კატეგორიებს შორის (იხ. ცხრილები 15 და 16), ისევე როგორც, ეს გამოვლინდა სამოქალაქო დავასთან მიმართებით, რის გამოც დამატებითი რეგულაციების კვლევა აღნიშნული მიმართულებით მკვლევართა ჯგუფს არ განუხორციელებია.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა დასრულების მაჩვენებელი (ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე) 2020-2021 წლებში შეადგენს განსახილველ საქმეთა 48-46%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ, განსხვავებით სამოქალაქო კატეგორიის დავისაგან, დასრულებულ საქმეთა რიცხვი აღემატება არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვეტილების გამოტანით დასრულებული საქმეების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ, 2021 წლის მონაცემების მიხედვით, 2020 წელთან შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც გაზრდილია არსებითი განხილვით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა.


უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ისევე როგორც სამოქალაქო საქმეებში, ადმინისტრაციულ დავათა შემთხვევაშიც რეგიონების მიხედვით საქმეთა დასრულების პროცენტული მაჩვენებელი განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელიც საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას, რათა რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით გამოიკვეთოს, რა არის აღნიშნულის მიზეზი: მოსამართლეთა რაოდენობა, მოსამართლეთა კვალიფიციურობა და უნარები საქმეთა მართვის თვალსაზრისით, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ ნდობის მხრივ, რეგიონის სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, ეკონომიკური მონაცემები და სხვ.

თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ცხრილები 17-25.




ცხრილი 17

მონაცემები ადმინისტრაციულ საქმეთა დამთავრების
თაობაზე 2020 წელი




ცხრილი 18

დამთავრებული ადმინისტრაციული
საქმეები I ინსტანციაში 2020 წელი (10224)




ცხრილი 19

დამთავრებულ ადმინისტრაციულ საქმეთა % სულ განსახილველ საქმეებში 2020 წელი (რეგიონების მიხედვით)




ცხრილი 20

მონაცემები ადმინისტრაციულ საქმეთა დამთავრების თაობაზე 2021 წელი




ცხრილი 21

დამთავრებული ადმინისტრაციული საქმეები I
ინსტანციაში 2021 (11 539)




ცხრილი 22

დამთავრებულ ადმინისტრაციულ საქმეთა % სულ განსახილველ საქმეებში 2021 წელი (რეგიონების მიხედვით)




ცხრილი 23

გადაწყვეტილების გამოტანით დამთავრებულ საქმეთა % სულ განსახილველ საქმეებში 2020-2021 წწ. (კატეგორიების მიხედვით)



ცხრილი 24

დამთავრებულ საქმეთა % მაჩვენებლის შედარება სულ განსახილველ საქმეებში 2020-2021 წწ (რეგიონების და კატეგორიების მიხედვით)



ცხრილი 25

ზემოთ ნაჩვენებ ცხრილებში მითითებული მონაცემებით დგინდება, რომ, ერთი მხრივ, განსხვავებული პრაქტიკაა რეგიონებში საქმეთა დასრულების კუთხით, როგორც კატეგორიების, ისე წლების მიხედვით, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების გამოტანით დასრულებული საქმეების რაოდენობათა თვალსაზრისით საკმაოდ დიდი განსხვავებაა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კატეგორიებს შორის, რომლის გამომწვევი მიზეზის დადგენა ჩვენ მიერ მოპოვებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების გათვალისწინებით შეუძლებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაციები როგორც საერთო სასამართლოებიდან, ისე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან

(საანგარიშო პერიოდად ავიღეთ 01.01.2020-01.01.2023), მათ შორის თითოეულ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის, თითოეულ მათგანზე განაწილებული საქმეთა რაოდენობის, მოსამართლეთა მიერ თითოეულ საქმეზე დანიშნულ სხდომათა რაოდენობის, მათი გადადების მიზეზების შესახებ და ა.შ., რათა უფრო ღრმად შეგვესწავლა მითითებული გარემოებანი და შეძლებისდაგვარად გავვერკვია მოსამართლეთა დატვირთვის კონკრეტული მიზეზები. თუმცა არც აღნიშნული ინფორმაცია გადმოუციათ და არც უარის მიზეზი განუმარტავთ. პასუხი მივიღეთ მხოლოდ ბოლნისის რაიონული სასამართლოსგან, თანაც მხოლოდ ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის ნაწილი (ძირითადად შესულ საქმეთა რაოდენობის შესახებ), რაც შეეხება ინფორმაციის დარჩენილ ნაწილს, განვიმარტეს, რომ „*მოთხოვნილი ინფორმაციის აღრიცხვა და დამუშავება ბოლნისის რაიონულ სასამართლოში არ ხდება, მისი გაცემა მოითხოვს როგორც მოსამართლეთა წარმოებაში არსებული და დასრულებული, ასევე სასამართლოს არქივსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში ჩაბარებული ცალკეული საქმეებისა და იქ არსებული მასალების მიხედვით აღნიშნული ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას. ბოლნისის რაიონულ სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის მრავალრიცხოვანი საქმის გამო მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება გამოიწვევს ბოლნისის რაიონული სასამართლოს პარალიზებას, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას ამ ნაწილში დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა“.*

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი რეგულაციებით დეტალურად არის გათვალისწინებული სასამართლო ორგანოთა ვალდებულება საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული მონაცემების (იხ. რეგულაციების ანალიზის თავი) შეკრებისა და დამუშავების თაობაზე, მითითებული პასუხითა და უზენაეს სასამართლოს ვებგვერდის ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ სასამართლოები არ ამუშავებენ და არ ასაჯაროებენ მონაცემებს ისე, რომ ცხადი იყოს საქმის წარმოებათა ხანგრძლივობა. ამასთან, აღნიშნული თვალსაზრისით არც მნიშვნელოვან მონაცემებს კრებენ, ამუშავებენ და ასაჯაროებენ, ვგულისხმობთ შემდეგ საკითხებს:

- რა დრო ეთმობა საქმის მომზადებას;
- რა ვადაში ინიშნება პირველი სხდომა;
- რამდენ სხდომაზე სრულდება მოსმენა;
- რა მიზეზით ხდება სხდომათა გადადება და სხვ.

აღნიშნული კი არ ეთანადება როგორც ზემოთ განხილულ საერთაშორისო რეკომენდაციებს, ისე საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას.

ადვოკატთა რაოდენობრივი კვლევის შედეგები²⁷


როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ანგარიშის მომზადებისთვის ჩატარდა ადვოკატთა რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 41 ადვოკატმა. მიუხედავად გამოკითხულთა მცირე რაოდენობისა, კითხვარში მითითებული

²⁷ წინამდებარე ქვეთავში მოცემულ ცხრილებში ადვოკატთა პასუხების განსაზოგადოებლად მივუთითეთ მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობები საანგარიშო პერიოდში (01.01.2020-01.01.2023).

საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შედეგების ანალიზი.

წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ მონაცემებს შემდეგ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით:

დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკა პირველი ინსტანციის სასამართლოებში – აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა ვადის დარღვევით მომზადების პრაქტიკაზე როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე. ამასთან, აღნიშნული, ერთი მხრივ, იძლევა ვარაუდს საფუძვლისათვის, რომ შეიძლება საქმეთა დიდი მოცულობის გამო მოსამართლეები ვერ ასწრებენ გადაწყვეტილების წერას, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება მოკლებული არიან საქმეთა მართვის საჭირო უნარს ან არ ჰყოფნიან თანამშრომლები, რომლებიც მოსამართლეს საქმეთა მართვაში გაუწევენ დახმარებას. თუმცა წინამდებარე ანგარიშში ვერც ერთ კონკრეტულ მიზეზს ვერ ვუთითებთ, გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოვიპოვეთ საჭირო მონაცემები.




ცხრილი 26

ადვოკატების მხრიდან დავის ალტერნატიულ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკა – გამოკითხულთა 85.3% მიუთითებს, რომ საერთოდ არ იყენებს ან – იშვიათად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს – არბიტრაჟსა და მედიაციას. გამოუყენებლობის მიზეზად კი უმეტესწილად აცხადებენ, რომ მხარეს არ სურს აღნიშნულ საშუალებათა გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე გამოკითხულმა გამოუყენებლობის მიზეზად დაასახელა საკუთარი შეხედულება იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟის ან/და მედიაციის გამოყენება საქმეს გააჭიანურებდა. მითითებული პასუხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში თვითონ ადვოკატები არ მიმართავენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს. აღნიშნულის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვეს ფოკუსჯგუფის შედეგად გამოკითხულ ადვოკატებსაც, რაც განხილული იქნება მომდევნო ქვეთავში.


²⁸ შენიშვნა: პასუხებში არ არის მითითებული საქმეთა რაოდენობა.

მედიაცია/არბიტრაჟის გამოყენების პრაქტიკა ადვოკატების მიერ



ცხრილი 27


მედიაცია/არბიტრაჟის გამოყენებლობის მიზეზები



ცხრილი 28

ადვოკატების მხრიდან საქმეთა მორიგებით დასრულების პრაქტიკა – საქმეთა მორიგებით დასრულების პრაქტიკასთან დაკავშირებით გამოკითხულთა უმრავლესობა (73.1 %) აღნიშნავს, რომ მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა დაახლოებით 30% მორიგებით მთავრდება, მხოლოდ უმცირესობამ (15.31%) მიუთითა, რომ წარმოებაში არსებულ საქმეებზე უმეტესად (46-55%) დავა მორიგებით მთავრდება. აღნიშნულ მონაცემში იგულისხმება როგორც სასამართლო განხილვის, ისე სასამართლომდე დავის მორიგებით დასრულების პრაქტიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ საერთო სასამართლოების მიერ დამუშავებულ სტატისტიკურ მონაცემებს გავითვალისწინებთ, სასამართლოში დავათა მორიგებით დასრულების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია (2020 წ. – 7% / 2021 წ. – 5%). რის გამოც, ვფიქრობთ, რომ


აღნიშნული საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას, რომელშიც მოსამართლეებიც იქნებიან ჩართული.



ცხრილი 29

სასამართლოთა მიერ სხდომათა ჩაუნიშნავების მიზეზები – გამოკითხულთა უმრავლესობა (82.9%) მიუთითებს, რომ მათ პრაქტიკაში გავრცელებულია სასამართლო სხდომათა (როგორც მოსამზადებელი, ისე მთავარი) დაგვიანებით ჩანიშვნის შემთხვევები. აღნიშნულის მიზეზად უმეტეს შემთხვევაში ასახელებენ, რომ სასამართლო სათანადო დროს არ ნიშნავს სხდომას მოსამართლის დატვირთვის, მოუცლელობის ანდა მისი შეცვლის გამო, რაც აბრკოლებს საქმეთა დროულად განხილვას.

მოსამზადებელი სხდომის დაგვიანებით ჩანიშვნის მიზეზები




ცხრილი 30


პირველ ინსტანციაში დასრულებულ საქმეებზე სხდომათა ჩატარების პრაქტიკა – გამოკითხულთა უმრავლესობა (65.8%) ასევე მიუთითებს, რომ მათ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც საქმეთა დასრულებისთვის პირველ ინსტანციაში დასჭირდათ 3 სხდომაზე მეტის ჩატარება, რის მიზეზადაც ძირითადად მიუთითებენ, რომ მოსამართლე დატვირთულია და დროს ეფექტურად ვერ იყენებს საქმის მოცულობასა და სირთულეს. ადვოკატებს დაუსვეს კითხვა იმის თაობაზეც, თუ საანგარიშო პერიოდში რის საფუძველზე გადაიდება მათ წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებული სხდომა. ამაზე გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უმთავრესად სხდომა გადაიდება ხოლმე სასამართლოს ინიციატივით, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ სხდომათა გადადების მიზეზი მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა (9 რესპონდენტი) ან საკუთარი ინიციატივით (2 რესპონდენტი).

თვალსაჩინოებისთვის იხ. ცხრილები 31-33.


აღნიშნული შედეგების დადასტურებისა და ასევე სხვა მიზეზთა დასადგენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო ღრმა კვლევის ჩატარება, მათ შორის მოსამართლეთა მონაწილეობით.



ცხრილი 31



ცხრილი 32



ცხრილი 33

ადვოკატთა ფოკუსჯგუფის გამოკითხვის შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 20 ადვოკატი, მათთან გასაუბრების მთავარი მიზანი იყო გამოკითხვების შედეგად მიღებული პასუხების დადასტურებისა და სასამართლოების მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი მონაცემების შეფასება.

ფოკუს ჯგუფის გამოკითხვამ გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი, რომლებიც უშუალოდ საქმეთა ხანგრძლივობას, დროულსა და ეფექტურ მართლმსაჯულების აღსრულებას უკავშირდება, კერძოდ:

- რამდენიმე ადვოკატმა განაცხადა, რომ მათ პრაქტიკაში საქმის განხილვას უფრო მეტად ართულებს და დიდი ხნით აჭიანურებს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ საქმეზე, რომელიც ადმინისტრაციული აქტის ბათილობას ეხება, სასამართლო ხშირად, შეიძლება ითქვას, საკითხის გადაწყვეტის გარეშე აუქმებს გასაჩივრებულ აქტს და ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით უბრუნებს, – ეს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ხელახლა გამოსცემს იმავე შინაარსის ადმინისტრაციულ აქტს, ანუ უარს ეუბნება მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, *„შემდეგ ეს გადაწყვეტილება ისევ სასამართლოში საჩივრდება და ასე ტრიალებს წრეზე“*. რაც, საბოლოოდ, ზრდის გადატვირთულობის მაჩვენებელს საერთო სასამართლოებში. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას, რათა დადგინდეს მსგავსი პრაქტიკის გავრცელების ობიექტური მიზეზები.
- გამოკითხული ადვოკატები იმასაც აღნიშნავენ, რომ შრომით დავასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ძირითადად არ იცვლება, თუმცა ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარემ წინასწარ იცის, რომ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება არ შეიცვლება, მაგრამ ფორმალურად ასაჩივრებს, რითაც იგებს დროს და ამ გასაჩივრებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას აჭიანურებს.
- ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოკითხულმა ადვოკატებმაც, ფაქტობრივად, ერთხმად აღნიშნეს, რომ მათ წარმოებაში არსებული სამოქალაქო-ადმინისტრაციული საქმეების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება უმეტეს შემთხვევაში ჭიანურდება; განმარტეს, რომ ძირითადად პირველ ინსტანციაში საქმის დასასრულებლად დაახლოებით 2-3 წელს უნდებიან. ამასთან, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ წარმოებაში აქვთ საქმეები, რომლებზეც, 3-4 წელია, მოსამზადებელი სხდომაც კი არ დანიშნულა.
- გამოკითხულთა უმრავლესობამ ასევე აღნიშნა, რომ მათ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასასრულებლად 3 სხდომაზე მეტი დასჭირვებიათ. ამის მიზეზად კი დაასახელეს როგორც საქმეთა კომპლექსურობა და სირთულე, ისე დროულად საქმეთა სათანადო მოუმზადებლობა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, მათი შეხედულებით, მოწინააღმდეგე მხარის გამო ხდება, თუმცა იქვე ხაზი გაუსვეს მოსამართლის აქტიურ როლს საქმის დროულად და ეფექტურად მომზადებასთან დაკავშირებით, რაც მათ პრაქტიკაში მეტწილად არ

ხორციელდება. სხდომათა გადადების ძირითად მიზეზად ადვოკატებმა დაასახელეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ უშუალოდ სხდომაზე წარმოდგენა ახალი მტკიცებულებისა, თანაც ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეს სხდომამდე მისი წარმოდგენის ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა.

- როგორც ონლაინ, ისე ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხდომა გადაიდება უმეტესად სასამართლოს ინიციატივით. ამასთან, ფოკუსჯგუფის ფარგლებში გამოკითხულმა ადვოკატებმა მიუთითეს, რომ, როგორც წესი, სხდომებს გადადებენ ხოლმე არანაკლებ ერთთვიანი შუალედით. ხოლო სხდომათა თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასამართლოებში ამ მიმართულებით არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, კერძოდ, ზოგჯერ მოსამართლის თანაშემწე უკავშირდება სხდომის თარიღზე შესათანხმებლად, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლე სხდომის თარიღს მხარეებთან შეუთანხმებლად განსაზღვრავს, რაც შემდგომ მხარის ან ადვოკატის მოუცლელობის გამო სხდომის გადადების საფუძველი გამხდარა.
- ადვოკატთა ფოკუსჯგუფთან შეხვედრისას ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ პანდემიის პერიოდში ერთ-ერთ მოსამართლესთან საქმეების განხილვას საერთოდ ვერ ნიშნავდნენ და ვერც აპარატთან ახერხებდა დაკავშირებას. ამასთან, მოგვიანებით, როდესაც მან მოიკითხა ის საქმეები, რომლებზეც მოსამზადებელი სხდომები არც კი იყო ჩანიშნული, თანაშემწისგან შეიტყო, რომ აღნიშნული მოსამართლე გადაეყვანათ სხვა კატეგორიის დავაზე, კერძოდ, მას წარმოებაში ჰქონდა 6000-მდე საბანკო ვალდებულებათა დავა და, შესაბამისად, ვერ იცლიდა საოჯახო დავის განსახილველად.
- ფოკუს ჯგუფის შეხვედრისას ასევე გამოიკვეთა, რომ მოსამართლის მხრიდან მხარეები არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებული – სასამართლო მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზისა, და მედიაციის უპირატესობათა შესახებ. მათ შორის აღნიშნა, რომ ბევრმა ადვოკატმა არც იცის ამ მექანიზმის უპირატესობა, ბევრ მათგანს თურმე მიიჩნია, რომ მედიაციაში წასვლა საქმეს გააჭიანურებს. თუმცა გამოკითხული ადვოკატების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მედიაციაში საქმის გაგზავნით სასამართლოებში საქმეთა რაოდენობა განახევრდებოდა.
- გამოკითხვისას ყველა ადვოკატმა ერთხმად აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არც ჰქონიათ შემთხვევა, რომ მოსამართლის თანაშემწეს გაერკვია, რა იყო სარჩელის ფორმაში მედიაციის გამოყენებაზე უარის მიზეზი.
- გამოკითხული ადვოკატები ასევე მიიჩნევენ, რომ ძალიან დიდია სასამართლოს როლი მორიგებასთან დაკავშირებით, „*თუმცა ხშირად მოსამართლე ამას ვერ/არ აკეთებს. მოსამართლეს შეუძლია სწორი კომუნიკაციითა და ინფორმირებით მხარეები საქმის მორიგებით დასრულებაზე დაითანხმოს*“.

ძირითადად სწორედ აღნიშნული საკითხები იქნა ადვოკატების მიერ გამოკვეთილი, რაც ქმნის, მათი აზრით, გადატვირთულობის პრობლემას სასამართლოებში, ეს კი, ფაქტობრივად, ემთხვევა რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებს.

თავი V. შემაჯამებელი დასკვნა

წინამდებარე თავში შეჯამებულია კვლევის შედეგად გამოკვეთილი შემდეგი საკითხები:

- ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო რეკომენდაციებთან;
- მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის შესაბამისობა ადგილობრივსა და საერთაშორისო რეგულაციებთან;
- საქმეთა განხილვის პრაქტიკის თავისებურებანი, მისი შესაბამისობა ადგილობრივსა და საერთაშორისო რეგულაციებთან;
- სასესხო ურთიერთობებთან დაკავშირებული დავა, როგორც საქმეთა რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი გამოკვეთილი მიზეზი;
- დავის ალტერნატიულ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკა.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო რეკომენდაციებთან

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილული საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივი კანონმდებლობით გარკვეულწილად გათვალისწინებულია საერთაშორისო რეკომენდაციებში მითითებული საკითხები, რომლებიც ეხება:

- საპროცესო ვადების განსაზღვრას;
- პასუხისმგებლობას სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადების დარღვევის გამო;
- სხდომათა რაოდენობას, მათ შორის მოსამზადებელი სხდომის ჩატარებასა და სხდომათა გადადებას;
- დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს;
- საქმეთა განხილვის მოქნილობასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას;
- საქმეთა განხილვის გამჭვირვალობასა და განჭვრეტას;
- საქმეთა განაწილების სისტემას.

რაც შეეხება საერთაშორისო რეკომენდაციებით გათვალისწინებულ რეგულაციებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით, კვლევის შედეგად ასეთად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- მკაფიო გაიდლაინები მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებისათვის საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებით (არსებობს გარკვეული ტიპის გაიდლაინები კანცელარიის თანამშრომლებისთვის საქმის რეგისტრაციის კუთხით, მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტი, თუმცა უშუალოდ საქმეთა მართვასთან დაკავშირებით საჯარო წყაროებით მსგავსი შინაარსის დოკუმენტი ვერ მოიძებნა) – ვფიქრობთ, აღნიშნული, ერთი მხრივ. ხელს შეუწყობს მოსამართლეებსა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებს, უკეთესად მართონ საქმეთა ნაკადი, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის უფრო განჭვრეტადს გახდის საქმეთა განხილვისა და მათი დასრულების შესაძლო ვადებს.
- იურიდიული პროფესიის (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი) წარმომადგენლებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის

განმსაზღვრელი ჩარჩოშეთანხმება, საქმეთა ეფექტურად განხილვის საკითხებთან დაკავშირებით - ასეთი სახის რეგულაციები, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების მონაწილეთა კოორდინირებულ თანამშრომლობას სასამართლოში საქმეთა განხილვის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქმეთა განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებათა მინიმუმამდე დაყვანას;

- სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე სარჩელის/განცხადების სასამართლოში შეტანამდე მხარის მიერ ყველა შესაძლო საშუალების გამოყენება, სავალდებულო წესით, რათა დავა მოლაპარაკებით დასრულდეს, ხოლო მათი გამოუყენებლობის შემთხვევა განხილულ იქნეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველად – მითითებული რეგულაციის შემოღებით მიგვაჩნია, რომ გაიზრდება პრაქტიკაში დავათა სასამართლოში მიმართვამდე მორიგებით დასრულების მცდელობა და ამ კუთხით მოლაპარაკების წარმოების შემთხვევები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს სასამართლოსთვის მიმართვა;
- ადვოკატთა პროფესიულ სტანდარტებში შესაბამისი წესების არსებობა სასამართლო პროცედურების განზრახ ბოროტად გამოყენებისა და გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად – მსგავსი რეგულაციების შემოღებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ადვოკატის ვალდებულება, ერთი მხრივ, დაიცვას კანონის უზენაესობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები. შესაბამისად, ასეთი რეგულაციები უნდა შემუშავდეს საადვოკატო საქმიანობის ამ ორ მნიშვნელოვან პრინციპს შორის ბალანსის დაცვით;
- იმთავითვე უსაფუძვლო ანდა დაუსაბუთებელი სარჩელების/განცხადებების/საჩივრების საქმეთა წარმოება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში და მსგავსი ფაქტის დადგენისას შესაბამისი პირისათვის კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება.

მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის შესაბამისობა ადგილობრივსა და საერთაშორისო რეგულაციებთან

როგორც უკვე აღინიშნა, 2017 წლის 8 თებერვალს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაში შეიქმნა სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომლის შექმნის აუცილებლობაც თავად სასამართლოს ხელისუფლების მხრიდან დასაბუთდა იმის გათვალისწინებით, რომ „*საქმეთა ნაკადის მართვა მოითხოვს ინფორმაციის მუდმივ შეგროვებასა და ანალიზს, როგორცაა საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლები, წარმოებაში არსებულ საქმეთა ასაკი, საქმეთა გაჭიანურებისა და სხდომათა გადადების მიზეზები, საქმეთა განხილვის შუალედური და საბოლოო ვადა და სხვ. გამოცდილება ადასტურებს, რომ საქმეთა გაჭიანურების მიზეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემური პრობლემებია, რომელთა გამოსწორება ცენტრალური და ადგილობრივი მენეჯმენტის მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი*“²⁹

²⁹საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების დასაბუთება გვ. 4, ხელმისაწვდომია <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sseer.pdf>

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, როგორც უკვე აღინიშნა, გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, მოვითხოვეთ, გადმოვცათ ინფორმაცია სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 56¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით³⁰ განხორციელებულ აქტივობათა შესახებ, მათ შორის გამოვლენილ საქმეთა გაჭიანურების მიზეზები (სისტემური პრობლემები) და სისტემური პრობლემების გადასაჭრელად განხორციელებული კვლევა, შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები.³¹ რაზეც არ მიგვიღია პასუხი. ამასთან, ვეცადეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის საშუალებით მიგვეღო ინფორმაცია სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ აქტივობათა შესახებ, თუმცა ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია ვერ ვიპოვეთ. შესაბამისად, უცნობია, თუ როგორ ახორციელებს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეთა ნაკადის მართვისა და მოსამართლეთა დატვირთვის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი რეგულაციებით დეტალურად არის გათვალისწინებული სასამართლო ორგანოთა ვალდებულებანი საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული მონაცემების (იხ. რეგულაციების ანალიზის თავი) შეკრებისა და დამუშავების თაობაზე, ბოლნისის რაიონული სასამართლოს პასუხითა³² და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით დგინდება, რომ სასამართლოები არ ამუშავებენ და არ ასაჯაროებენ მონაცემებს იმ სახით, რომ განჭვრეტადი იყოს საქმის წარმოებათა ხანგრძლივობა. ამასთან, არ დასტურდება აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მონაცემების შეკრება, დამუშავება და გასაჯაროება, მათ შორის შემდეგ საკითხებზე:

- რა დრო ეთმობა საქმის მომზადებას;
- რა ვადაში ინიშნება პირველი სხდომა;
- რამდენ სხდომაში სრულდება მოსმენა;
- რა მიზეზით გადაიდება სხდომა და სხვ.

აღნიშნული კი არ ეთანადება ასევე ზემოთ განხილულ საერთაშორისო რეკომენდაციებს, კერძოდ, ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სამუშაო ჯგუფის – SATURN (Study and Analysis of Timeframes Unit Research Network) 2021 წლის 9 დეკემბრის სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით შემუშავებული მე-4 განახლებული გაიდლაინების თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა იურისდიქციის სასამართლოთა მხრიდან

³⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი:

ა) შეისწავლის საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საერთო სასამართლოების დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლებს, მოსამართლეთა მივლინების საჭიროებას, საქმის წარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ ინფორმაციას და რეკომენდაციებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და შესაბამის საერთო სასამართლოებს;

ბ) ზედამხედველობს საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას და მის დასახვეწად რეკომენდაციებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

გ) ზედამხედველობს საერთო სასამართლოების რესურსების ეფექტურსა და მიზნობრივ გამოყენებას და ამისათვის კოორდინაციას უწევს საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების საქმიანობას;

ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს საერთო სასამართლოების ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე;

³¹ იხ. დანართი 1 (26.04.2023) წერილი N14097, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

³² იხ. დანართი 4 (10.05.2023) წერილი N55, ბოლნისის რაიონული სასამართლო.

განხორციელდეს ჩანაწერების წარმოება და მონაცემების შეგროვება შემდეგ საკითხებზე:

- პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარდგენის თარიღი (ამავე დროს მიზანშეწონილია, სასამართლოებმა შეამოწმონ, ამოწურულია თუ არა დავის მოგვარებისთვის ყველა წინასასამართლო შესაძლებლობა მხარის მიერ დავის მოსაგვარებლად);
- სასამართლო პროცესის მომზადება (ამ ეტაპის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ქმედება, მაგ.: ექსპერტთა დანიშვნა, მთავარი სხდომის თარიღის დანიშვნა, მოწმეთა გამოძახება, მოსამზადებელი მოსმენა);
- სასამართლო პროცესის დაწყება (პირველი მთავარი ზეპირი მოსმენა);
- შემდგომი მოსმენა მტკიცებულებათა გამოსაკვლევად (ზოგიერთი სახელმწიფო მხოლოდ ერთ მთავარ მოსმენას იყენებს);
- მოსმენათა დასრულება;
- გადაწყვეტილების მიღება პირველ ინსტანციაში;
- პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გამოცხადება და მხარეებისთვის ჩაბარება;
- გასაჩივრების პროცედურების დაწყება;
- სააპელაციო სხდომათა მომზადება;
- სააპელაციო სასამართლოს სხდომები;
- გადაწყვეტილების მიღება სააპელაციო ინსტანციაში;
- სხვა ეტაპები და საშუალებები (მაგ., საქმეთა ხელახალი განხილვა ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და ა.შ.).³³

მიგვაჩნია, რომ მითითებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქმეთა ნაკადის მართვის თვალსაზრისით, რადგან, ერთი მხრივ, მათ საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს ხელს შეუწყობს სამართალწარმოების ხანგრძლივობის თაობაზე რეგულაციების შემუშავებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლეებს დაეხმარება ინდივიდუალურ საქმეთა ნაკადის მართვაში. ამასთან, განჭვრეტადს გახდის მხარეთათვის საქმის განხილვის ხანგრძლივობას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოების ვადის დაგეგმვა განხორციელდეს საქმეთა კატეგორიებისა და მათი განხილვისთვის საჭირო საშუალო ვადის გათვალისწინებით. ასევე საჭიროა შესაბამისი საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალწარმოების თითოეული ეტაპის ხანგრძლივობის კონტროლს, აწარმოებს სტატისტიკას და დაადგენს საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და დაბრკოლების შემთხვევებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს.

საქმეთა განხილვის პრაქტიკის თავისებურებანი, მისი შესაბამისობა ადგილობრივსა და საერთაშორისო რეგულაციებთან

საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურება

³³ ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სამუშაო ჯგუფის SATURN (Study and Analysis of Timeframes Unit Research Network) მე-4 განახლებული გაიდლაინები სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით, 09.12.2021 წ. ნაწილი I გაიდლაინები სასამართლოსთვის, გვ. 3-10, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

საქმეთა განხილვის პრაქტიკის თვალსაზრისით სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნის მასშტაბით პირველი ინსტანციის სასამართლოთა მიერ დასრულებულ საქმეთა უმრავლესობა არაარსებითი განხილვის შედეგად დასრულებული საქმეებია, ხოლო არსებითი განხილვის შედეგად დასრულებულ საქმეთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია. კერძოდ, სამოქალაქო კატეგორიის დავაზე 2020 წელს დასრულებულ საქმეთა რაოდენობის (54 494) მიმართ მათი პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 43%-ს, ხოლო განსახილველ საქმეთა საერთო რაოდენობის (116 310) მიმართ – 19.96%-ს. 2021 წლის მონაცემების მიხედვით კი დასრულებულ საქმეთა რაოდენობის (79 995) მიმართ – 30.82%-ს, ხოლო განსახილველ საქმეთა საერთო რაოდენობის (148 436) მიმართ – 16.61%-ს. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტესწილად სასამართლოები აჭიანურებენ არსებითად განსახილველ საქმეთა განხილვასა და მათ დროულ დასრულებას.

აღნიშნული გარემოება დადასტურდა ადვოკატთა გამოკითხვის (როგორც ონლაინკითხვარის, ისე ფოკუსჯგუფის ფარგლებში) შედეგადაც. კერძოდ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ადვოკატთა წარმოებაში არსებული სამოქალაქო-ადმინისტრაციული საქმეებიდან უმრავლეს შემთხვევაში საქმის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ჭიანურდება და ძირითად შემთხვევაში განმარტეს, რომ პირველ ინსტანციაში საქმის დასასრულებლად საშუალოდ ესაჭიროებათ 2-3 წელი. ამასთან, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ წარმოებაში აქვთ საქმეები, რომლებთან დაკავშირებითაც 3-4 წლის განმავლობაში მოსამზადებელი სხდომაც კი არ დანიშნულა.

აღნიშნული კი არ ეთანადება საქართველოს კანონმდებლობით საქმეთა განხილვის ვადებთან დაკავშირებულ დადგენილ რეგულაციებს, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის დანაწესებს, რომელთა თანახმადაც საქმეთა განხილვის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 თვეს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ ასევე აღნიშნა, რომ მათ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასასრულებლად 3 სხდომაზე მეტი დასჭირდათ. ამის მიზეზად კი დაასახელეს როგორც საქმეთა კომპლექსურობა და სირთულე, ისე საქმეთა დაგვიანებით და არასათანადო მომზადება, რაც ზოგ შემთხვევაში, მათი შეხედულებით, მოწინააღმდეგე მხარის გამო ხდება, თუმცა იქვე ხაზი გაუსვეს მოსამართლის აქტიურ როლს საქმის დროულად და ეფექტურად მომზადებაში.

როგორც ონლაინ, ისე ფოკუსჯგუფების გამოკითხვის შედეგად გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხდომათა გადადება უმეტესად სასამართლოს ინიციატივით არის გამოწვეული. ამასთან, ფოკუსჯგუფის ფარგლებში გამოკითხულმა ადვოკატებმა მიუთითეს, რომ, როგორც წესი, სხდომებს დებენ არანაკლებ 1-თვიანი შუალედით. ხოლო სხდომათა თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სასამართლოებში ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს, კერძოდ, ზოგ შემთხვევაში მოსამართლის თანაშემწე უკავშირდება სხდომის თარიღზე შესათანხმებლად, მაგრამ ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლე სხდომის თარიღს მხარეებთან შეუთანხმებლად განსაზღვრავს, რაც მხარის ან ადვოკატის მოუცლევლობის გამო სხდომის გადადების საფუძველი გამხდარა.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ზემოთ განხილული საერთაშორისო რეკომენდაციებისა, რომელთა თანახმადაც სასურველია ადვოკატებსა და სასამართლოს შორის არსებობდეს ჩარჩოშეთანხმებანი საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის თაობაზე, პროცედურული კალენდრები საქმის მომზადებისა და სასარჩელო წარმოების (მათ შორის შუამდგომლობის ან მტკიცებულების წარდგენის, მოწმის დაკითხვის და სხვა მოქმედებების) ვადის მითითებითა და დაცვით³⁴ (ე. წ. საქმეთა განრიგები), ადგილობრივ რეგულაციებში აღნიშნული საკითხი არ არის მოწესრიგებული. შესაბამისად, პრაქტიკაში გამოვლენილი მითითებული საკითხის მოსაგვარებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მსგავსი შინაარსის რეგულაციის შემოღება, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართული ყველა მხარის მოსაზრებები და ინტერესები.

სხდომათა გადადების ძირითად მიზეზად ადვოკატებმა ასევე დაასახელეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ უშუალოდ სხდომაზე ახალი მტკიცებულების წარმოდგენა, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მხარეს მისი სხდომამდე წარმოდგენის რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს პრაქტიკაში შესაბამის მხარისათვის კანონით გათვალისწინებულ სანქციას არ აკისრებენ. მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებულია საქმეთა განხილვის კონკრეტული ვადები, ასევე სხვადასხვა სახის სანქციები მოსამართლის მიერ დადგენილ ანდა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული პრაქტიკით არ მიიღწევა ანდა ეფექტურად ვერ ხორციელდება საქმეთა განხილვის ვადასთან დაკავშირებული და საქმეთა გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენება. შესაბამისად, მიზანშეწონილია დეტალურად გაანალიზდეს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები და მათი გათვალისწინებით დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები პრაქტიკის რეგულაციების შესაბამისად ან პრაქტიკის გათვალისწინებით რეგულაციების დასახვეწად, რათა მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან საქმეთა გაჭიანურების შემთხვევები.

საქმეთა მორიგებით დასრულების პრაქტიკა

როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, ისე ადვოკატთა გამოკითხვით ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა საქმეთა მორიგებით დასრულების დაბალი მაჩვენებელი (იხ. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები), რის გამოც ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას, რომელშიც ჩართული იქნებიან მოსამართლეებიც.

გამოკითხული ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ძალიან დიდია სასამართლოს როლი მორიგებასთან დაკავშირებით, „თუმცა ხშირად მოსამართლე ამას ვერ/არ აკეთებს.

³⁴ ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სამუშაო ჯგუფის SATURN (Study and Analysis of Timeframes Unit Research Network) მე-4 განახლებული გაიდლაინები სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით, 09.12.2021 წ. ნაწილი III გაიდლაინები ადვოკატებისთვის გვ. 14-16, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

მოსამართლეს შეუძლია სწორი კომუნიკაციითა და ინფორმირებით მხარეები დაითანხმოს საქმის მორიგებით დასრულებაზე“.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით³⁵ გათვალისწინებულია სასამართლოს გარკვეული ვალდებულება, გამოიყენოს ყველა შესაძლო ზომა, რათა ხელი შეუწყოს საქმეთა მორიგებით დასრულებას, თუმცა მსგავსი რეგულაცია ადვოკატების მიმართ არ გვაქვს გათვალისწინებული. რაც ეწინააღმდეგება ზემოთ განხილულ საერთაშორისო რეკომენდაციებს, კერძოდ: ევროპის საბჭოს NR(86)12 რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა ეფექტურად რომ შეძლონ საქმეთა ნაკადის მართვა, ერთ-ერთ აუცილებელ საკითხად მითითებულია, რომ მათ უნდა შეიმუშაონ **დავათა მორიგებით გადაწყვეტის წამახალისებელი ღონისძიებები, რაც მათ შორის გულისხმობს** შემათანხმებელი პროცედურების დანერგვასა და სტიმულირებას სასამართლო პროცესის დაწყებამდე ან მის ფარგლებს გარეთ, ასევე დამკვიდრდეს იურისტების ეთიკური მოვალეობა, განახორციელონ მორიგებისთვის აუცილებელი ღონისძიებანი სამართალწარმოებისთვის აუცილებელ მოქმედებათა დაწყებამდე.³⁶

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატებით ისეთი რეგულაციები შემოიღონ, რომლებიც ხელს შეუწყობს დავათა მორიგებით დასრულების გაზრდას, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლოსთვის მიმართვის შემცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქმეთა დროულ დასრულებას.

სასესხო ურთიერთობებთან დაკავშირებული დავა, როგორც საქმეთა რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი გამოკვეთილი მიზეზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მკვლევართა მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები იმ თვალსაზრისით გაანალიზდა, რომ გამოგვეკვეთა, თუ რა კატეგორიის დავაზე უხდებოდა ყველაზე ხშირად სასამართლოსთვის მიმართვა, ანუ ყველაზე მეტად რომელი კატეგორიის დავა განსაზღვრავს საქმეთა რაოდენობას. მითითებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ასეთად ჩაითვალა სასესხო ურთიერთობებიდან მომდინარე დავა. რადგან, ფაქტობრივად, სესხის ხელშეკრულებებიდან მომდინარე დავათა პროცენტული მაჩვენებელი სასარჩელო წარმოების დავათა საერთო მაჩვენებლის მიმართ დაახლოებით 60%-ს შეადგენს.

რეგულაციების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულწილად ისეთ რეგულაციებს ითვალისწინებს, რომლებმაც, წესით, ხელი უნდა შეუწყოს ფულად დავალიანებასთან, მათ შორის სასესხო ურთიერთობებიდან მომდინარე, დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის შემცირებას. კერძოდ,

³⁵ „სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრებისთვის მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.“

³⁶ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(86)12 სასამართლოში საქმეთა ნაკადების გადატვირთულობის პრევენციისა და შემცირების ღონისძიებების თაობაზე 16.09.1986 წ., ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804f7b86> (წვდომის თარიღი 08.08.2023 წ.)

საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ფულადი დავალიანების გადახდევინებასთან დაკავშირებით გამარტივებულ წარმოებას ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებული არ არის ჯერ შეუსრულებელ საპასუხო ვალდებულებაზე. აღნიშნული წარმოება დასაშვებია, თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე.³⁷

აღნიშნული რეგულაციიდან გამომდინარე, მკვლევრებმა ინფორმაცია სააღსრულებო ბიუროდან პრაქტიკის მითითებული წარმოების კუთხით დასადგენად გამოითხოვეს. სააღსრულებო ბიუროს წერილში მითითებული მონაცემები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რათა დავასკვნათ, რომ 2020 წელს სესხთან დაკავშირებით წარდგენილ სარჩელთა წარმდგენების დაახლოებით 94%-ს, ხოლო 2021 წელს – 97%-ს არ გამოუყენებია სააღსრულებო ბიუროსთვის ფულადი დავალიანების გადახდის გამარტივებული წარმოების მექანიზმი.

ფოკუსჯგუფების გამოკითხვისას ადვოკატებს დაუსვეს შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ინფორმირებული არიან მითითებული მექანიზმის არსებობის თაობაზე და რამდენად ხშირად იყენებენ წარმოებაში არსებული ფულადი დავალიანების დავათა მოსაგვარებლად. რაზეც მათმა უმეტესობამ განმარტა, რომ, დიახ, იციან აღნიშნული მექანიზმის შესახებ, მაგრამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ გამოუყენებიათ, რადგან არ მიიჩნევენ დავის გადაჭრის ეფექტურ საშუალებად და, პრაქტიკიდან გამომდინარე, როცა გამოუყენებიათ, მხოლოდ გაუხანგრძლივებიათ დავათა მოგვარების ვადა, ერთი მხრივ, თვით მოწინააღმდეგე მხარისათვის შეტყობინების დროულად ჩაუბარებლობის, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მხრიდან დაუსაბუთებელი პრეტენზიის წარდგენის გამო, რაც მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებია.

რეგულაციების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³-ე მუხლით სავალდებულო მედიაციას დაქვემდებარებულ დავათა კატეგორიაში შედის საქართველოს საბანკო დაწესებულებათა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებათა მიერ დადებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) სესხის ხელშეკრულებიდან მომდინარე დავა, თუ დავის საგნის ღირებულება 10 000 ლარს არ აღემატება.

თუმცა, მიუხედავად განხილული რეგულაციებისა, სტატისტიკური მონაცემებისა და ადვოკატთა გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, პრაქტიკაში მათ ეფექტურად არ გამოიყენებენ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქმეები, მათ შორის სასესხო ურთიერთობებიდან მომდინარე დავა, მორიგებით, მათ შორის სასამართლომდე, ნაკლებად სრულდება, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი კატეგორიის დავის ზრდის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად.

³⁷ საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, თავი XVI¹

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, სააღსრულებო ბიუროს აღნიშნულ მომსახურებაზე უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, ადვოკატთა გააქტიურება და წახალისება საქმეთა მორიგებით დასრულების თვალსაზრისით.

აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზეც, რომ სასესიო ურთიერთობებიდან მომდინარე მრავალრიცხოვანი დავა შეიძლება გამოწვეული იყოს მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაც. ამის გამო მიზანშეწონილია პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა მიერ განხორციელდეს აღნიშნული გარემოების სათანადოდ გამოკვლევა, შეფასება და შესაბამისი მონაცემების გათვალისწინებით სათანადო რეგულაციების მიღება თუ ღონისძიებათა გატარება.

დავის ალტერნატიულ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გაანალიზებით დადგინდა, რომ სასამართლოები არ ამუშავებენ სტატისტიკურ მონაცემებს სასამართლო მედიაციისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის მედიაციის ფარგლებში მორიგებით დასრულებულ საქმეებზე ანდა იმ საქმეებზე, რომლებზეც მორიგებას ვერ მიაღწიეს და დავა სასამართლოში განახლდა. სწორედ ამიტომ ძალიან რთულია მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის მექანიზმის, მუშაობის ეფექტურობის შეფასება. ასევე პრაქტიკოს ადვოკატებთან ჩატარებული ონლაინგამოკითხვისა და ადვოკატების ფოკუსჯგუფისგან მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში თავად ადვოკატები არ მიმართავენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს. აღნიშნულის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვეს ფოკუსჯგუფის მიერ გამოკითხულ ადვოკატებსაც, რომელთა პასუხების საფუძველზეც გამოიკვეთა მოსამართლის მხრიდან სასამართლო მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზისა და მედიაციის უპირატესობათა შესახებ მხარეთა არასაკმარისი ინფორმირება. მათ შორის აღინიშნა, რომ ბევრმა ადვოკატმა არც კი იცის ამ მექანიზმის უპირატესობანი, ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ მედიაციაში წასვლა საქმეს უფრო გააჭიანურებს. თუმცა გამოკითხული ადვოკატების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქმის მედიაციაში გაგზავნით სასამართლოებში საქმეები განახევრდებოდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1¹ ნაწილში გათვალისწინებულია სასამართლოს ვალდებულება, გამოიკვლიოს მედიაციის გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზები, გამოკითხვისას ყველა ადვოკატმა ერთხმად აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არ ჰქონიათ შემთხვევა, მოსამართლის თანაშემწეს გაერკვია მათ მიერ სარჩელის ფორმაში მედიაციის გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი.

განხილული საკითხების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც სასამართლოს და არც ადვოკატების მხრიდან პრაქტიკაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ

საშუალებათა გამოყენებას არც ხელს უწყობენ და არც წახალისებას ცდილობენ, მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციების თვალსაზრისით აღნიშნული საკითხები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია.

ამასთანვე, ადმინისტრაციული სამართლებრივი კატეგორიების საქმეებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შედარებითა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაკლები მიმართვის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად შეიძლება სწორედ ის გარემოება განიხილებოდეს, რომ, სანამ სასამართლოს მიმართავდნენ, კანონი უმთავრესად იმპერატიულად მოითხოვს ერთჯერადი გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების აუცილებლობას და აღნიშნული დამოკიდებული არ არის მხარის ნებაზე, განსხვავებით სამოქალაქო სამართლებრივი დავისაგან, რომლის დროსაც მსგავსი რეგულაციაა, თუ სამედიაციო შეთანხმების არსებობის შემთხვევაშია გათვალისწინებული, მაგრამ თავად სამედიაციო შეთანხმების არსებობა უშუალოდ მხარეთა ნებაზე დამოკიდებული, რაც პრაქტიკაში არც ისე ხშირად გვხვდება, ეს კი ადვოკატთა გამოკითხვის შედეგებითაც დასტურდება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ადგილობრივ რეგულაციებში დავათა მორიგებით დასრულების ანდა დავის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების თაობაზე დამატებითი წამახალისებელი წესების შემოღება ხელს შეუწყობს სასამართლოთა განტვირთვას.

თავი VI. რეკომენდაციები

ანგარიშში განხილულ რეგულაციათა და მონაცემთა ანალიზის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. შეიქმნას მკაფიო გაიდლაინები მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებისათვის საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებით და მათი ეფექტურად იმპლემენტაციისათვის მითითებულ პირებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები – ვფიქრობთ, აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მოსამართლეებსა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებს უკეთესად მართონ საქმეთა ნაკადი, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის უფრო გარკვეული იქნება საქმეთა განხილვისა და მათი დასრულების შესაძლო ვადები;
2. შეიქმნას იურიდიული პროფესიის (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი) წარმომადგენლებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის განმსაზღვრელი ჩარჩოშეთანხმება საქმეთა ეფექტურად განხილვის საკითხებთან დაკავშირებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსამართლესა და ადვოკატებს შორის საქმეთა განრიგის შემუშავებაზე აქტიური თანამშრომლობა – მსგავსი რეგულაციები უზრუნველყოფს მართლმსაჯულების მონაწილეთა კოორდინირებულ თანამშრომლობას სასამართლოში საქმეთა განხილვის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქმეთა განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებათა მინიმუმამდე დაყვანას;
3. შემუშავდეს ერთობლივი სასწავლო მოდულები ადვოკატების, მოსამართლეებისა და მათი თანამშემწეებისათვის საქმეთა ნაკადის მართვისათვის აუცილებელ საკითხებზე – აღნიშნული ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ზემოთ მითითებული

რეკომენდაციის ფარგლებში შემუშავებული კოორდინირებული თანამშრომლობის განმსაზღვრელი ჩარჩოშეთანხმების პრაქტიკაში იმპლემენტაციას, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის კოორდინირებული თანამშრომლობას მართლმსაჯულების მონაწილეთა შორის საქმეთა ნაკადის ეფექტურად მართვის თვალსაზრისით;

4. იურიდიული პროფესიის წრეებში დაიწყოს აქტიური დისკუსიები საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავების მიზანშეწონილობის განხილვის თვალსაზრისით, რაც, ერთი მხრივ, მოაწესრიგებს მხარეთა ვალდებულებას სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე სარჩელის/განცხადების სასამართლოში შეტანამდე დავის მოლაპარაკებით დასრულების მცდელობასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს იმთავითვე აშკარად დაუსაბუთებელი სარჩელების შემჭიდროებულ ვადაში განხილვას. ამასთან, ამგვარი რეგულაციების შემოღება განსაკუთრებულად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასესხო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებთან მიმართებაში, მათი დიდი რაოდენობის გათვალისწინებით;
5. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა დაიწყონ იმ მონაცემების აქტიურად შეკრება, დამუშავება და გასაჯაროება, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქმეთა ნაკადის მართვას (მათ შორის: თითოეული მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა, სხდომათა დანიშვნისა და დასრულების დრო, სხდომათა რაოდენობა და სხვ.);
6. სასამართლოში დაინერგოს შესაბამისი საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალწარმოების თითოეული ეტაპის ხანგრძლივობის კონტროლს, აწარმოებს სტატისტიკასა და დაადგენს საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა თუ დაბრკოლებათა შემთხვევებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს;
7. დაიწყოს აქტიური დისკუსიები იურიდიული პროფესიის წრეებში ადვოკატთა პროფესიულ სტანდარტებში შესაბამისი წესების შემოღების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო პროცედურების გაჭიანურების თავიდან აცილებას;
8. მიუხედავად იმისა, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები სავსებით შეესაბამება ანგარიშში განხილულ საერთაშორისო რეკომენდაციებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების თვალსაზრისით, წინამდებარე ანგარიშში მიმოხილული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათ აქტიურად არ იყენებენ არც ადვოკატები და არც სასამართლო. აღნიშნულის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მოსამართლეებს, არბიტრებს, მედიატორებსა და ადვოკატებს შორის და პრაქტიკაში ისეთი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, აღნიშნული ინსტიტუტების განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეამცირებს სასამართლოსთვის მიმართვას;
9. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოთ განხილულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი რეგულაციის შემოღებისა თუ ცვლილების შემთხვევაში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც მოსამართლეები, ისე ადვოკატები. ასევე შესაძლებელია მოეწყოს ბენჩ-ბარები ადვოკატებისა და მოსამართლეების მონაწილეობით, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტუალური საკითხის განხილვა.

დანართები

1. N14097 წერილი (26.04.2023) იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე
2. N14098 წერილი (26.04.2023) თბილისის საქალაქო სასამართლოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე³⁸
3. ადვოკატთა ელექტრონული კითხვარი
4. ბოლნისის რაიონული სასამართლოს წერილი N55 (10.05.2023)
5. N30649 წერილი (05.05.2023) სააღსრულებო ბიუროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე
6. N14096 წერილი (26.04.2023) აღსრულების ეროვნულ ბიუროს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე

³⁸ იდენტური შინაარსის წერილი გაიგზავნა ყველა პირველი ინსტანციის სასამართლოში.